დავით ბაჯიაშვილი

სისხლიან ბრძოლის ველგედა...

მე თქვენთვის, თქვენ კი ჩემთვისა
მუდამ სართ მოსაგონია.
მე თქვენთან მოვალ –თქვენთვისა,
ასეა, ასე მგონია...

ლექსები
პოემები

მწიგნობრულ-მისიონერული
ფონდი

თბილისი
2003



წადი, ვამშორდი ჩემო სურათო,
წადი, იარე დღითა, ღამითა...
ვინცა დამსედავს მოვაგონდები,
მოვეჩვენები ერთი წამითა...

მიყვარს ასეთი ქალები

© დ. ბაჯიაშვილი

მწიგნობრულ-მისიონერული

ზეციური გადმოქროლებით...

დავით ბაკიაშვილი იმ უიღბლოდ დაღუპულ, სამშობლოს სიყვარულით ანთებულ ბიჭების გამორჩეულ საძმოს ეკუთვნის, რომლებიც მშობლიური სანახებიდან ათასობით კილომეტრის იქით, ისე ჩაებნენ და დაღუპნენ მეორე მსოფლიოს ომის სახელით ცნობილ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში, რომ მშობლიური კუთხის ღირსშესანიშნავი ადგილების ნახვა და მიალერსებაც ვერ მოასწრეს...

იგი სამხედრო სამსახურში, „მუშფაკის“ დამთავრების შემდეგ, 1939 წელს გაიწვიეს. ომმა ფინეთის, ბესარაბიის, უკრაინის და რუსეთის ტერიტორიები იარაღით ხელში და ბრძოლით მოატარა...

იგი სრულიად ახალგაზრდა, ოცდაორი წლისა დაიღუპა „სტალინგრადის ბრძოლებში“.

მის მიერ ფრონტიდან გამოგზავნილი ფოტოსურათი, რომელზეცსახელდახელოდ მიწერილი ლექსია შემორჩენილი, ერთადერთია, რომელმაც მისი სახე შემოგვინახა.

ლექსები, რომლებსაც პოეტისთვის ისე სანატრელი და საოცნებო მკითხველი მხოლოდ ოცდამეერთე საუკუნეში გაეცნობა, სამოცი წლის წინათაა დაწერილი,

საბრძოლო ოპერაციების მიწყნარების ხანმოკლე ეპიზოდებში და საშხედრო ჰოსპიტლებში ჭრილობების მოშუშების დროს...

ჟამისგან გაყვითლებულ ფურცლებზე შემონახული, მოხდენილი კალიგრაფიით ნაწერი ლექსები, პოემები და მცირე ფორმის რომანი (წიგნში, გალექსილ ადგილების კვალდაკვალ ამ რომანის ძალზე მოკლე შინაარსია გადმოცემული) მხოლოდ ნაწილია ამ ნაადრევად დაღუპული ყმაწვილკაცის შემოქმედებისა. მისგან "ას ლექსად" შესახელებული პოეტური ნიმუშები, ფრონტიდან უიღბლოდ გამოგზავნილ ლექსებით გაწყობილ წერილებთან ერთად სხვადასხვა ვითარებაში დაიკარგა.

მაგრამ დაინტერესებული მკითხველი „იმ მცირედითაც" რამაც ჩვენამდე მოაღწია უცილობლად შეიგრძნობს, რომ დავითი უდაოდ ხალასი ნიჭით დაჯილდოებული, ღრმად მოაზროვნე, კაცთმოყვარე და ვაჟკაცური სულის შემოქმედი გახლდათ...

ისინი ხან წითელარმიელის წიგნაკის ფურცლებზე, მეთაურისა თუ პოლიტრუკის გაწაფული ხელით ნაწერ რუსულ სააგიტაციო ტექსტების გვერდზეა მოთავსებული, ხანაც „ნაალაფარ", გერმანული ჯარის, რომელიღაც განაყოფის დიდრონ სააღრიცხვო ფურცლებზე.

ეტყობა დავითი თუ სადმე საწერად ვარგის ფურცელს მოიხელთებდა, შესაძლებლობის მიცემისთანავე ჩვეული სიყვარულით გამოჰყავდა ზედ ქართული ასოები...

მერე როგორც ჩანს ვერც, მათ ჩასწორებას ახერხებდა და მით უფრო გადაწერას... არ დახიოთ, აუცილებლად შემინახეთო, შესთხოვდა ახლობლებს ყოველი ბარათში. რა თქმა უნდა, შინ დაბრუნებული მათ გადამოწმებასა და ლიტერატურულ დამუშავებას შეეცდებოდა...

მაგრამ არ დასცალდა...

ვფიქრობთ ამ წიგნით იგი თავისებურად, ზეციურ გადმოქროლებითა და პოეტური ფერთასვლით უბრუნდება თავის მშობლიურ მუხათსა და საქართველოს...

„მე, ჩემი და, ჩემი ძმები...“

(მოგონება)

ჩემი ძმა დავითი დაიბადა 1919 წელს, ჩვენს მშობლიურ სოფელ მუხათში.

არასრული საშუალო სკოლა დაამთავრა სოფელ კოდაში.

იგი იყო მრავალმხრივი, დადებითი თვისებების მქონე, უაღრესად ნიჭიერი, ფიზიკურად ძლიერი, უშიშარი, გონებრივად დახვეწილი ადამიანი.

ჩვენ გახლდით ოთხი დედ-მამის შვილი, სამი ძმა და ერთ და...

დავითი,აზრიკო,შოთა და მარიამი. დავითი ასაკით ყველაზე უფროსი იყო.

იგი სწავლისადმი დიდი სიყვარულით გამოირჩეოდა, წიგნებს კი პირდაპირ აღმერთებდა.

მან ადრეულ ასაკში დაიწყო ლექსების წერა და მიიპყრო მთელი სოფლის ყურადღება.

1934 წელს იგი დროებით ქ. ცხინვალში, მაშინდელ სტალინირში, მამიდასთან გადავიდა საცხოვრებლად, სწავლის გაგრძელების მიზნით.

მამიდა გახლდათ იმდროინდელ მთელს სამხრეთ ოსეთში განთქმული დასტაქარი მენჯ-ბარძაყ მოტეხილობის დარგში და სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით. ამაზე ხაზგასმას იმიტომ ვაკეთებ, რომ ჩემს ძმას დავითს კონფლიქტი მოუვიდა

იქაური „ქურდული სამყაროს“ გავლენიან პირთან და თსუთმეტი წლის ბიჭმა დანით დაჭრა იგი, რამაც იქაური რეციდივიტების მძვინვარება გამოიწვია.

დავითის სიცოცხლეს ლამის გარდაუვალი საფრთხე დაემუქრა. რომ არა, მამიდაჩვენის სონა ბაჯიაშვილი-ხახანაშვილის პოპულარობა და ბიძაჩემ გიორგის ვაჟკაცური შემართება, შურისსაძიებლად აღგზნებული ბრბოს შეჩერება შეუძლებელი შეიქმნებოდა.

ამას იმიტომ ვიხსენებ, რომ გამოირჩეოდა რა სწავლისადმი განსაკუთრებული მიდრეკილებით, მას ასევე ძალაცა და მოქნილობაც გამორჩეული მოსდევდა და თუ ვითარება აიძულებდა, ჩხუბშიც მარჯვე და შეუპოვარი იყო.

წიგნის სიყვარულის გამო კი, სრულიად ყმაწვილი ღამით ეკლესიაში შეიპარებოდა, იქ შენახულ წიგნებს წამოიღებდა, წაიკითხავდა და მერე ასევე მალულად ღამით ისევ უკან აბრუნებდა...

სოფელს დაუზარებელ, ჭკუასაკითხ ახალგაზრდად ეგულებოდა და უამრავი აკითხავდა თსოვნით განცხადებისა თუ საჩივრის დაწერის თაობაზე.

ლამაზი კალიგრაფიითა და იურიდული შინაარსით დაწერილი მისი განცხადება ზოგს გამოც-

დილი იურისტის ნაწერი ეგონა და ხშირად საქმის მომჩივანის სასიკეოდ გადაწყვეტას შველოდა.

მის ლექსებს სოფლის ზოგიერთ მაცხოვრებელი 'შინ ინახავდა, ზოგმაც ზეპირად იცოდა.

თექვსმეტი წლისა აი რას წერდა:

შევასრულე ჩემი გეგმა,
ჩემი კალმით დაწერილი,
ასი ლექსი წაიკითხეთ,
ამ რვეულში ჩაწერილი.
არც ვაქებ და არც ვაძაგებ,
ნაბიჯია სულ პირველი,
მოიაროს მთა და ველი,
მაშინ ნახეთ და გაიგეთ,
როს იქნება მშვენიერი...

სამწუხაროდ ეს ლექსი სრულად არ მახსოვს, ხელნაწერი კი სხვა დანარჩენ, დავითისგან შესახელებულ „ას ლექსთან" ერთად დაიკარგა. ასევე დაიკარგა სამხედრო სამსახურის დროს მის მიერ გამოგზავნილი ლექსების ნაწილი. როგორც ვიცი, ჩემმა ახლობელმა ზოგი მათგანი დასაბეჭდათ წარადგინა, მაგრამ „პესიმისტური განწყობის" გამო დაიწუნეს. მათი უკან დაბრუნება არ მოხერხდა... რა თქმა უნდა, იმ გაგანია

ომში. ჩემს ძმას სასისარულოდ არ უნდა ჰქონოდა საქმე. თუმცა, სიმსნევე არ აკლდა... როგორც დაკარგვას გადარჩენილი მისი ნაწერებიდან ჩანს იგი მეტწილად სიკეთეს, მეგობრობას და სიყვარულს უმღეროდა.

დავითი 1936-1939 წლებში თბილისში, ეგრეთ წოდებულ „მუშფაკში" სწავლობდა, საიდანაც სამხედრო სამსასურში გაიწვიეს. მონაწილეობა მიიღო ფინეთის ომში და როცა დემობილიზაცია უწევდა დაიწყო ომი გერმანიასთან..

იყო სერჟანტი, შემდგომ უმცროს ოფიცერთა მოსამზადებელ კურსებზე გაიწვიეს. შეძლებისდაგვარად გვიგზავნიდა წერილებს, ძალიან ტკბილი მოკითხვა იცოდა, შიგადაშიგ ლექსებს გამოურევდა, მისეული განმარტებებით...

ხშირად მათ წაკითხვას თითქმის მთელი სოფელი ესწრებოდა, ზოგი ლექსსაც გადაიწერდა, ზოგი იზეპირებდა კიდეც...

რამდენიმე ლექსი თუ პოემა ფსევდონიმითაა ხელმოწერილი.

„ბადე" — ასე იხსენიებდა თავის თავს.

წერილები და პოემები, ლექსები და მცირე ზომის რომანი. რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებიდანაა გამოგზავნილი. აი, იმ ქალაქების არასრული ჩამონათვა-

ლი: სარკოვი, კიშინიოვი, ნიჟნი ტაგილი, კატოვსკი...

1943 წლის შემდეგ წერილები შეწყდა. როგორც სამხედრო კომისარიატიდან გვაცნობეს იგი გმირულად დაიღუპა სტალინგრადთან.

თუმც დედაჩემი მას მაინც ელოდა, ბოლოს კი დარდმა დაჯაბნა და ჯერ კიდევ ახალგაზრდა ასაკში 1945 წელს გარდაიცვალა.

მამაჩემი მას 1967 წლამდე ელოდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნე დავითი განსაკუთრებული სიყვარულით მოგვიკითხავდა შინ დარჩენილ დედმამიშვილებს, განსაკუთრებით კი ჩემს დას მარიამს, რომელიც შემდგომ დავითის სასწავლებისდროინდელ მეგობარს, ღირსეულ ახალგაზრდა კაცს იასონ ბუზალაძეს გაჰყვა ცოლად. ცხოვრობდნენ ცხინვალში. ჩემმა დამ მრავალი წელი იმსახურა იქაურ სამკერვალო ფაბრიკაში. ხანშიშესულს, ჩვენს თავს დატრიალებული განუკითხაობის გამო, თავისი კარმიდამოს დატოვება აიძულეს და დარდისგან მოტეხილი დევნილობაში გარდაიცვალა.

მე და ჩემი ძმა შედარებით უმცროსი ასაკისა ვიყავით და რა თქმა უნდა, ბევრი რამ დავითის მისწრაფებისა ჩვენთვის შეუცნობი იყო, მაგრამ რაც მეტი დრო გადიოდა იგი უფრო ძვირფასი ხდებოდა ჩვენთვის და ჩვენი ოჯახებისთვის...

მე პირადად ფრონტიდან გამოგზავნილი მისი ლექსების დიდი ნაწილი ზეპირად ვიცი...

ომში დაღუპული ბიძის სიყვარულით გაიზარდნენ მარიამის, აზრიკოსა და ჩემი შვილები...

ჩვენს მშობლიურ მუსათში დღესაც შესვდებით კეთილ ადამიანებს, რომლებიც ჩემს ძმას, საუბარში ახლაც სიყვარულით მოიგონებენ ხოლმე... აკი დავითმაც, თავის დროზე, მათ და მათ ახლობლებს მიუძღვნა თავისი „მოკეთე და ნათესავი", „ჩემი კარის მეზობელი", „ეს ქვეყანა მისთვის მიყვარს" და სხვა სიყვარულით გამთბარი ლექსები...

ზოთა ბაჯიაშვილი

მიყვარს კაცი მეცნიერი

მიყვარს კაცი მეცნიერი,
ხალხისათვის მოვლენილი,
არს მნათობი მშვენიერი,
მისგანა ვართ მოლხენილი.

ხალხს ცხოვრების გზას უნათებს,
აზრებსა ჰფენს ის ბრწყინვალეს,
ის მსოფლიოს მწვერვალია,
ქვეყანაზე მზედ ბრწყინვალებს.

ის გზას აძლევს მშრომელ ხალხსა,
ის გზას აძლევს განათებულს,
მისგან ვუმზერთ ჩვენს ქვეყანას,
იმის ძალით განახლებულს.

მშრომელები ნათელ გზაზე
მედგრად მივლენ წინ და წინა,
ვინც ღობავდა ნათელ გზასა,
მან სიკვდილით დაიძინა.

მწამს, რომ მალე ამაღწევენ
იმ მწვერვალსა და იმ ადგილს,
სად ბაღია სამოთხისა,
მტერი შეწყვეტს თავის ქადილს.

მშრომელთათვის ბალის კარი
დღე და ღამე არის ღია.
ბალის გვერდსა მდინარეა
ჯერ სიდი არ გაუდვიათ...

დღეს ხომ სედავთ თქვენს წინაშე
ნათელია გზა და კვალი,
არ იძინოთ. წინ-წინ წადით
გაახილეთ ყველამ თვალი.

მიყვარს კაცი მეცნიერი
ხალხისათვის მოვლენილი,
მნათობია მშვენიერი,
მისგანა ვართ მოლხენილი...

კიშინიოვი.
16. 01. 1941



მოკეთე და ნათესავი

მოკეთე და ნათესავი
კაცს უყვარდეს არა სძულდეს,
მისგან ნახოს სიხარული,
მისგან ნახოს, რაცა უნდეს.

მათ გადასცეს გულის დარდი,
პასუხს მათგან მოელოდეს,
მათ უშველონ, დაეხმარონ,
ოდეს კაცსა გაუჭირდეს.

მოკეთისთვის კაცის გული,
იყოს ცხელი, არ გაცივდეს,
ნათესავის პური ჭამოს,
როს არ ჰქონდეს, ან მოშივდეს.

ხომ ვერ მივა უცხო ხალხთან
არხეინად და გულითა,
როგორც თავის ნათესავთან
ის მივა სიხარულითა.

ხომ ვერ ეტყვის უცხო ხალხსა,
დარდსა, ანდა სიხარულსა?
ნათესავს კი მოასსენებს,
გულს არ დატოვს შენახულსა.

თუგინდ კაცმა მოინდომოს
ქეიფი და წვეულება,
უამისოდ არ იქნება
გასლავთ ძველი ჩვეულება.

თქვენ მითსარით ვის მოიწვევს
უცნობებს თუ ნაცნობებსა,
რა თქმა უნდა, ის მოიწვევს
ნათესავთ და თავის ძმებსა.

თუ გინდ კაცსა გაუჭირდეს,
ცხოვრებაში ყველა მოხდეს,
ვერ გაექცეს, ვერ გადარჩეს
კაცი ბოლოს უნდა მოკვდეს.

ვინ მივა და ვინა ნახავს
გარეშე თუ შინაური,
მითსარ მკვდარსა ვინ დამარხავს,
ვის დაეწვას მისთვის გული.

მხოლოდ იგი, ვინც იცნობდა,
ჰქონდა მისი სიყვარული,
იმათ იგი გულთ მოაკლდათ
და შესწყვიტეს სიხარული.

მიყვარს, მიყვარს გუილთ მიყვარს
მოკეთე და ნათესავი,
მათ სიყვარულს არ დავკარგავ,
არ ვარ მათი განმთესავი.

ჩემი კარის მეზობელი

ჩემი კარის მეზობელი
ჩემთვის მეტად ძვირფასია,
კაცს უყვარდეს მეზობელი
ერთი იყოს, თუნდ ასია.

მე რად მინდა ეს სიცოცხლე,
უმეზობლოდ, უხალხოთა?!
გავარჩიოთ მეზობელი,
მოვიგონოთ და ვნახოთა.

დილას კარში როს გამოვალ
სალამს ვაძლევ მეზობელსა,
ვითა ძმა და ვითა შვილი
მოვიკითხავთ ერთმანეთსა.

უმეზობლოდ მე სიცოცხლე
და ცხოვრება მემწარება,
მეზობელი ძალას მმატებს
და ძმასავით მესმარება.

უმეზობლოდ თქვენცა იცით
მინდორს მხეცი იარება,
კაცის საქმე ძნელზე-ძნელი
მოძმეს ექცეს იარებად.

კაცის აზრი, კაცის საქმე,
მხეცის საქმეს არ ედრება,
კაცი ნახავს მეზობლის კარგს,
ისიც იმას შეედრება.

კაცი, ვინცა კაცი არის
და მკერდში აქვს კაცის გული,
მას ექნება უსათუოდ
მეზობლისა სიყვარული.

მას მეზობლის კარგი საქმე
არასოდეს შეშურდება
და მეზობლის მაცქერალი
ისაც კარგსა გზას ადგება.

მაშ, რად გიკვირს, რომ მიყვარდეს
ჩემი კარის მეზობელი,
უმეზობლოდ ვერ გაიგო
ეს ქვეყანა, ეს სოფელი.

ჩემო კარის მეზობელო,
მოდი ხელსა დაჰკარ ხელი.
შენ ხომ ჩემთვის ძვირფასი ხარ,
ერთურთის ვართ ძმები მშველი.

კიშინიოვი.
სამხედრო ჰოსპიტალი.

14. 01. 41

მძულს, არ მიყვარს...

მძულს, არ მიყვარს მოღალატე,
მეგობრისა გამყიდველი.
ორპირი და მატყუარა,
დაწყევლილი, ვითა გველი.

ამ ცხოვრების გზადაკვალზე
ავი კაცის ვარ მნახველი.
იმას გეტყვით, გაგაგონებთ,
არ ვარ მისი შემნახველი.

ერთსა კარგსა ახალგაზრდას
ყავდა ავი მეგობარი.
მეგობრისთვის შურიანი
და აშკარა მეკობარი.

ახალგაზრდა კი ფიქრობდა
მას ვიცი აქვს ცუდი გული,
მაგრამ ჩემთვის კარგი არის
და აქვს ძმური სიყვარული.

კარგი გულით, კარგი საქმით
ახალგაზრდას აქვს სახელი,
მის მეგობარს მოსდის ბრაზი,
ვინ გაიგებს არის ბნელი.

ავი კაცი არვის უყვარს,
ეჯავრებათ ვითა გველი,
ამიტომაც მოინდომა
მეგობარსა მოსჭრას ყელი.

ახალგაზრდა ვაჟიკაცზე
მოტყუებით დაძრას ხელი,
მისი მოკვლით მოიპოვოს
სხვისი ნდობა და სახელი.

როცა კარგი ვარდი მოსწყდეს
უბედური გასდეს კარგი,
დაიჭიროს მის ადგილი,
იყოს ვითარც კარგი ვარდი.

ერთხელ უთხრა, მოდი ძმაო,
ვიქეიფოთ მე და შენა,
მოტყუებით წაიყვანა
ჰქონდა იმას გველის ენა.

იქეიფეს, დრო ატარეს,
ძმად შეიცნო მეგობარი.
კაცის გულში, თუ რა არის,
ვინ იქნება შემტყობარი?

უთხრა, ძმაო, ჩვენ წავიდეთ
გამოვიყვან მე ქალებსა,
ხომ იცი, რომ დაუწვივართ
იმათ ეშხსა და თვალებსა.

დანაპირების მაგიერ
გულს დაადვა მჭრელი დანა,
წამსვე უკან გამობრუნდა,
მერე ხელი დაიბანა.

ასეთ საქმით ავმა კაცმა
მოიშორა გულზე დარდი,
მოაშორა ტურფა ბაღსა
მშვენიერი ვარდი, კარგი.

ამის შემდეგ, როს გაიგეს,
რომ მოსწყვიტა კაცი ვარგი,
მას აჰკიდეს ვითა ვირსა
კურტანი და მისი ბარგი.

სოფელ-სოფელ დაატარეს,
ხალხო, ნახეთ ეს ვინ არი,
ბაღის ვარდის მომწყვეტავი,
ახლა იგი, ხომ წინ არი?

თქვენცა ხედავთ მოიპოვა
სახელი და „დავერია“,
მეცა ვნახე იმის სისხლში
გველის სისხლი, რომ ერია.

ამის შემდეგ მე შემძულდა
მეგობრისა მოღალატე,
ვგმოთ ორპირი, ავი გულის,
შურიანი მოქალაქე.

არ იქნება ქვეყანაზე

არ იქნება ქვეყანაზე
კაცი იშვას ქვისაგან.
რომ ბატკანი ვერა ნახავს
სისარულსა მგლისაგან...

არა მწამს და არცა ველი,
დახმარებას მტრისაგან,
კაცს გზა-კვალი ეთარსება
უბედური ეჭვისგან.

ჩემო გულო, დადაგულო,
დამწვარი ხარ, რისაგან?
გსურს და ელი შველას ითხოვ,
შენ არ იცი ვისაგან.

შენ არ იცი, გადააგდეს
მაგ შენს ნათელ გზისაგან,
ღამე გშველის, შავი ღამე,
დამწვარი ხარ დღისაგან.

შავი ფიქრი

შავი ფიქრი გულზე მაწევს
და არ მაძლევს მოსვენებას.
აზრს მიჩერებს, სისხლსა მიშრობს,
აღარ მაძლევს გაქანებას.

მე არ მიყვარს შავი ფიქრი,
იგი არის ჩემი მტერი,
რომ გავდენო ჩემს თავიდან
არ მაქვს ძალა შესაფერი.

ვწევარ სიცხით ბალნიცაში,
შემეცვალა ჩემი ფერი.
არ მშორდება შავი ფიქრი,
მე გამხადა ვითარც მტერი.

მე უძლური ვეხვეწები,
რომ მანებოს ფიქრმა თავი
და მომეცეს ჩემი ფერი,
ვითა მიწა გავხდი შავი.

შავო ფიქრო, გადი ჩემგან,
ნუ დააჭკნე ჩემი გული.
ვიტანჯები ორნაირად,
მწვავს ფიქრი და სიყვარული.

სიყვარული მე გულში მაქვს
დამარხული, შენახული,
ესლა ფიქრი მომაგონებს,
რაც მქონია მე ნახული.

მე ნახული, შენახული,
გულში, კუთხეს მიგდებული,
ავი ეჭვი ცეცხლად ანთებს,
როს გახდება აგზნებული.

ყოველ მინუტს და ყოველ ჟამს
მაქვს ფიქრისგან სველი თვალი,
არ მასვენებს, ფიქრი მტანჯავს,
ფიქრისთვის ვარ მოსაკლავი.

შავი ფიქრი გულზე მაწევს
და არ მაძლევს მოსვენებას.
აზრს მიჩერებს, სისხლსა მიშრობს
და არ მაძლევს გაქანებას.

15. 01. 1941

მშობელო დედავ!

მშობელო დედავ, შენ რისთვის მელი?
ჩემს გზას გაჰყურებ, თვალიც გაქვს სველი,
შენგან ტკბილ ალერს მე აღარ ველი,
რადგან შენ შვილებს პატრონობს გველი...

ხალხის მტანჯველი, სისხლისა მსმელი,
ჩემი მტანჯველი და გულის მწველი,
გასლავარ დიდი იმის დამცველი,
ვინც არის შენი ტკბილ შვილის მკვლელი...

22. 01. 1940

მიყვარს ჩემი მშობლის შვილნი

მიყვარს ჩემი მშობლის შვილნი:
ერთი და და ორი ძმანი.
მიყვარს, მიყვარს მათი გული,
მათი სიტყვა, მათი ხმანი.

მე ვერ ვხედავ იმათ სახეს,
და ვერც ვისმენ იმათ ხმასა.
მემატება სიყვარული,
როცა ვუფიქრდები ჭკვასა.

ვიცი ისინიც ფიქრობენ,
თავიანთ მშობლის შვილზედა.
მე იმათ გულში ვუყვარვარ
და არა კოცნა პირზედა.

ვისაც უყვარს თავის თავი,
ქვეყანა და თავის გული,
მას ექნება დის და ძმების
მეტად ტკბილი სიყვარული...

ვით ყვავილნი ერთი ხისა
ერთმანეთსა ამშვენებენ,
ერთმანეთის სიყვარულსა
თავის მნახველს აჩვენებენ.

მართ, ასევე ჩვენ გახლავართ
ჩვენს მშობელთა ყვავილები,
ჩვენ იმათი ნაყოფი ვართ,
იმათი ვართ ჩვენ შვილები.

ერთმანეთის სიყვარულით
ერთმანეთსა დავამშვენებთ,
თუ ერთმანეთს დღეს ვერ ვხედავთ,
როცა ვნახავთ გავახარებთ.

დის და ძმების სიყვარული
არს ბუნების მიცემული
და დედ-მამის სისხლ-ხორცი
შვილთა აქვს გადმოცემული.

მე, ჩემი და, ჩემი ძმები
ვართ ერთი დედის შვილები
და დედის ტკბილი ძუძუთი
გახლავართ გამოზრდილები.

ჰგავს ჩვენი გული დედ-მამის,
ამ ქვეყანაზე ტკბილ გულსა,
სისხლით, ხორცით, რომ ერთნი ვართ
ეს გვიმატებს სიყვარულსა.

მე, და-ძმების სიყვარულსა
ვერ დავკარგავ, გულს მექნება,
მათ სიყვარულს თან წავიღებ,
როცა მიწა დამეყრება.

მიყვარს ჩემი მშობლის შვილნი,
ერთი და და ორი ძმანი,
მიყვარს, მიყვარს მათი გული,
მათი სიტყვა, მათი ხმანი.

13. 01. 41

მეგობრების სიყვარული

მეგობრების სიყვარული —
მე გულში მაქვს მეტისმეტად,
უიმათოდ ვივლი ქვეყნად,
სულელად და ბრეტის-რეტად.

იმათგან მაქვს მე სიცოცხლე,
იმათგან მაქვს სიხარული,
იმათთან ვარ დღე და ღამე,
იმათთან არს ჩემი გული.

მე იმათთვის არ დავზოგავ
სიცოცხლესა, არცა თავსა,
მათ გულისთვის მე გავივლი
მეტად საშიშ გზასა შავსა.

მე სიკვდილი მეგობრისთვის
კი არა მწყინს, მიხარიან,
სადაც წავალ მეგობრები
ჩემს სალხენად იქ არიან.

მათთან ვშრომობ,
მათთან ვსწავლობ,
მათთან ვიცავ სამშობლოსა,
მათთან ჟამი ტკბილი არის,
ყოველ წუთსა, ყოველ დროსა.

მეგობრები ვინც დამშორდნენ
მათ ვერ ხედავს ჩემი თვალი,
მე ვინატრი იმათ ნახვას,
მეკიდება ცეცხლის ალი.

ვერ ვივიწყებ მე მეგობრებს,
ვერ ივიწყებს ჩემი გული,
ვერ ვივიწყებ მე მათ სახელს,
გულს მაქვს მათი სიყვარული.

გაიელვებს გონებაში
სიტყვა, საქმე მათგან ქმნილი
და ფიქრის დროს მეჩვენება
წამიერად მე აჩრდილი.

და არა მწამს მოჩვენება,
იგი არის წამიერი,
მაშ, მითხარი რა იქნება
ქვეყნად მრავალ-ჟამიერი?

ეს სიცოცხლე ვით ყვავილი
გამოვა და გაიშლება
მოვა დრო და მიწად წავა,
მიწა მიწად დაიშლება.

ქვეყანაზე მე გულით მწამს
წმინდა, ტკბილი სიყვარული,
მანამ ვცოცხლობთ სიყვარულით,
მოგვემატოს სიხარული.

მეგობრების სიყვარული —
მე გულში მაქვს მეტისმეტად,
უიმათოდ ვივლი ქვეყნად,
სულელად და ბრეტის რეტად.

ეს ქვეყანა მისთვის მიყვარს

ეს ქვეყანა მისთვის მიყვარს,
რომ ის ვარდის ბაღი არის,
ქვეყნად ვარდი მოფენილი
იცოდეთ, რომ ვარდი არის.

თუკი ბაღი არ იქნება
ყვავილებით მოკაზმული,
ჩემი გულიც შეწყვეტს მღერას
არც მექნება სიხარული.

თუ ქვეყანა არ იქნება
ტურფა ხალხით გავსებული,
არც იქნება ცხოვრებაში
სიყვარული არსებული.

მითხარ, მაშინ მე რად მინდა,
მშობელი და მეგობარი?
თუკი მე ხალხს ხმას ვერ გავცემ
სჯობს შევიქმნე ეხლავ მკვდარი.

ხალხისთვის მაქვს მე სიცოცხლე
ხალხისთვის მაქვს ჩემი გული.
მსურს რომ ხალხი გავახარო,
გულს მაქვს ხალხის სიყვარული.

მათ გადავცე ჩემი აზრი,
ჩემი ფიქრი და მიზანი,
ჩემი საქმე, ჩემი ოფლი,
ჩემი შრომა, ჩემი გზანი.

ეს ქვეყანა გავასხივო,
გავახარო შრომის ძმანი,
და ჩემს მედგარს, ხმასა მტკიცეს
მოემატოს მათი ხმანი.

როს ცხოვრება მსოფლიოში
აღარ იყოს ესრე ჭრელი,
არვინ იყოს მატყუარა,
დასაწველი, დასაჭრელი.

ეს ქვეყანა გულით მიყვარს,
მიყვარს ხალხი ვითა ვარდი,
გული ხარობს იმათ შორის,
ხედავ ხალხსა არ აქვს დარდი.

ხალხს გადავცე ჩემი აზრი,
ჩემი ფიქრი და მიზანი
და ჩემს მედგარს ხმასა მტკიცეს
მიემატოს მათი ხმანი.

კიშინიოვი.
საბჭედრო ჰოსპიტალი,
ჩაიკოვიკა.13. 01. 41

დედა-შვილი

ყველა დედა –მ'შობელია
თავის შვილის –თავის ვარდის,
აბა, მითხარ დედის ძუძუს
კაცი ბრძენი რად დაჰკარგვის?

დედას შვილი ჯერ არ ეშვა,
თვალითაც არ დაენახა,
ჰ:ქონდა მისი სიყვარული,
როს მუცელში ჩაესახა.

და ფიქრობდა, რომ შვილისთვის
მას სახელი შაენახა,
დიდი ფიქრით –კარგი სიტყვა
იმას ვერსად მოენახა.

დრო მოვიდა –შვილის შობის
ტანჯვითა შვა დედამ შვილი,
წამსვე საზრდოდ პირს ჩაუდვა –
დედამ თვისი ძუძუ-ტკბილი.

რა თვალები გაახილა,
ნახა შვილმა მხოლოდ დედა,
სიყვარულით ის „ნანინას"
დამღეროდა აკვანზედა:

„შვილო ტკბილო, საყვარელო,
გეხვეწები გაიზარდო,
და დედისა სიყვარული
შეინახე, არ დაკარგო.“

უმღეროდა მეტად ტკბილად,
გაიზარდე ჩემო კარგო,
ჩემო გულო, ჩემო სისხლო,
ჩემო ია –ჩემო ვარდო.

როს გახადა შვიდი წლისა
ის სკოლაში წაიყვანა,
რომ ისწავლოს ეს ქვეყანა,
შვილი ხალხში გაიყვანა.

დედა თავის პირის ლუკმას
ამოიღებს აჭმევს შვილსა,
შვილი როგორ დაივიწყებს
ქვეყანაზე დედას ტკბილსა?

შვილი არის მშობელთ სისხლი,
მშობელთ ხორცი, მშობელთ სული,
ყვავილია შვილი ქვეყნად
დედ-მამისგან გამოსული.

მაშ, რად გიკვირთ რომ მიყვარდეს
კარგი მამა, ტკბილი დედა?
ამა ქვეყნად მშობელია
სიყვარული ყველაზედა.

მე შორსა ვარ მშობელთაგან
და აქა მაქვს მათი გული,
არ დავკარგავ მე მათ სახელს,
გულს მინთია სისარული.

კიშინიოვი,
სამხედრო ჰოსპიტალი
12. 01. 41

მინდა ვუმზირო შენს სურათს

მინდა ვუმზირო შენს სურათს.
შენს სახეს და შენს თვალებსა,
ეს გული ემორჩილება
მკერდის — ვარდების ალებსა.

შენა მკლავ, შენვე მაცოცხლებ,
შენვე მატირებ გულითა,
შენ შეგიძლიან მაცოცხლო,
მაცოცხლო სიყვარულითა.

ხომ ხედავ ჩემი გზა-კვალი
შენგან არს დაბნელებული,
მით ვეღარ ვხედავ ლამაზო —
შორსა ვარ გადმოგდებული.

ყოველ ფეხის გადადგმაზე
მე ვხედავ შენსა თვალებსა,
ვერ შევადარებ შენს ტანსა
სხვათა სორცსა და ძვალებსა.

როს დავიძინებ ლამაზო,
სალდათთა კაზარმაშია,
მე თავი დამავიწყდება,
ვით არ ვარ არმიაშია.

როს დავიძინებ, შენ გხედავ,
აქა, ჩემს წინა მდგომარეს,
თან გაცინებულს ეშხითა,
თან ბრაზიანსა, მწყრომარეს.

მე მოვალ ხელსა დაგიჭერ,
მსურს მოგეხვიო ყელზედა,
დაგიწყო კოცნა ტუჩებზე,
ხელი მოგხვიო წელზედა.

ამ დროს ვიღაცა მაღვიძებს
და მეც გავახელ თვალებსა.
რას ვნახავ? გულში ცეცხლი მაქვს
და ვეღარ ვუძლებ ალებსა.

შენ მტანჯავ ჩემო ლამაზო,
შენგან მებმება ენა მე.
შენგან ვარ ცეცხლად მყოფელი,
შენგან არცა მაქვს სმენა მე...

მაგრამ მსურს მე შენ გიყურო,
არ მოგაშორო თვალია.
შენა ხარ ჩემი სიცოცხლე,
ჩემი პირველი ქალია.

შენა მკლავ, შენვე მაცოცხლებ,
შენვე მატირებ გულითა.
შენ შეგიძლიან მაცოცხლო,
მაცოცხლო სიყვარულითა.

კიშინიოვი.
სამხედრო ჰოსპიტალი
7. 01. 41

გულის ძგერით

გულის ძგერით —პასუხს ველი
კომისიის წევრებისგან.
ყველა ძარღვში სისხლი მოსჩქეფს
ფიქრებისგან, ნერვებისგან.

შენი ეშხით

მოტივი საიათნოვასი

შენი ეშხით დამწვარი ვარ,
მიკიდია ცეცხლის ალი,
მოდი ტურფავ გაანათე
ჩემი ბნელი გზა და კვალი.

ამა ქვეყნად მოსული ხარ,
რომ დააგდო ჩემი გული
და დამტოვო მე დავითი
დამწვარი და დადაგული.

ეგ თვალები, რომ ციმციმებს,
ისე სწრაფად ვითა ელვა,
გულმკერდი კი არ მასვენებს,
მემართება სისხლის ღელვა.

ეგ ტუჩები ვარდი არის,
მოჩანს თეთრი მარგალიტი,
მე ვეცადე –ვერ ვეღირსე,
ვერც ნებითი, ვერც ძალითი.

ეგ გიშერი –შავი თვალი,
ვითა ყვავი და ყორანი,
ჩვენ შორის კი ღელავს წყალი,
არც ხიდია, არც ბორანი.

წელი ვითა კვიპარისი
და ლოყები საოცნელი,
შენ დამწვი და შენ დამდაგე,
სიცოცხლე მაქვს მეტად ძნელი.

მე უშენოდ ვერა ვხარობ,
ვეღარც ვცოცხლობ –ტურფა ქალო.
ამასა გთხოვ სიტყვა ჩემი
გაიგონო –შემიბრალო.

სასიკვდილოდ მე მზადა ვარ,
გამაყოლე ერთი კოცნა.
დე საფლავში ჩავესვენოთ
მე და ტკბილი შენი კოცნა.

ანუ — ერთხელ სიყვარულით
ეშხიანად გამიცინე,
და საფლავში მე სიცილთან
სამუდამოდ დამაძინე.

კიშინიოვი,
სამხედრო ჰოსპიტალი
9. 01. 41

გარემოების შეცვლითა

გარემოების შეცვლითა
იცვლება კაცის გულია,
ხან ხარობ სიხარულითა,
ხან გული დაჩაგრულია.

შენ ვინცა გინდა, თუ ხედავ,
გექნება სიხარულია.
მშობლებო, მამავ და დედავ!
მაქვს თქვენი სიყვარულია.

დაო და ძმებო, თქვენა ხართ —
შობილნი ჩემი მშობლითა,
ჩვენ ერთ ოჯახში დავზრდილვართ,
დედ-მამის ჰალალ ოფლითა.

მე ყოველ წუთს და ყოველ ჟამს,
თქვენს აჩრდილს ვხედავ თვალითა.
თქვენ ნუ იდარდებთ ჩემთვისა,
გახარებთ მომავალითა.

მე თქვენთვის, თქვენ კი ჩემთვისა
მუდამ ხართ მოსაგონია.
მე თქვენთან მოვალ —თქვენთვისა,
ასეა, ასე მგონია.

ქ. ხარკოვი.
5 სექტემბერი, 1941

ნაწყვეტი წერილიდან...

სალამი საყვარელ მშობლებს

...გიგზავნით კიდევ სურათებს, რომლებიც ნახავენ ჩემს მაგიერ თქვენს სახეს და თქვენს სახლ-კარს.

მომდის ბრაზი, მე ჩემთავად, მომდის ბრაზი იმიტომ, რომ გაჩერებულია ჩემი კალამი, აღარ მუშაობს ჩემი აზრი და ტვინი, რაც ვიცოდი შეიძლება ისიც დამავიწყდეს.

ახლა მოგწერთ ნაწყვეტს პოემიდან „15 წელი“. 15 -წელი ეს ნიშნავს სკოლის დაწყებასა და დამთავრებას. გამოყვანილია მითომ მივდივარ გზაზე და მსურს მივაღწიო ისეთ ადგილას, სადაც სინათლეა, იქამდინ მისავლას სჭირდება 15 წელი. მე მივდივარ სრულ 9 -წელიწადს და მეათე წელს შემოდგომით იცვლება ეს ჩემი სიარული, ჩემს წინ სევია, წვიმა-სეტყვისგან ის ხევი ადიდდება და მე ვრჩები, ეელარ მივდივარ წინ.

სწორედ ამის შემდეგ ვარ რაღაც შავ-ბნელ ფიქრებში. ცა მოიწმინდა, მაგრამ წყალი კი არ შეწყდა და მე ის მიღობამს გზას, არ მიშვებს წინ.

„15 წელი“

ღრუბლები გადაიწმინდა
მზეც გამოვიდა ცაზედა,
მაგრამ მდინარე არ დგება
ღრიალებს მხეცთა ხმაზედა.

მოდით, მითხარით რა ვუყო
როგორ გავიდე მასზედა?
სურვილი გულში დავმარხო?
ხომ შევიცვალე ჭკუაზედა!

როგორ გავიდე ამ წყალზე
ადიდებულა – დიდია,
არცა ბორანი, არც ნავი,
არც ხელოვნური ხიდია,

არცა კაცი მყავს ისეთი
მე გამიყვანდეს წყალზედა,
რომ გავაგრძელო, წავიდე
საყვარელ გზა და კვალზედა.

თუ შიგ შევედი, დაშახრჩობს
და მომკლავს უეჭველათა,
სჯობია მე აქ გავჩერდე,
ვიყო აქ მინდორ-ველადა,

როცა გაჩერდეს ეს წყალი
გავიდე იქით ველადა,
ვიქნები ისევ ის მგზავრი,
ისევ იმ გზაზე მვლელადა.

მდინარე აღარ ჩერდება,
აჰა, დღესაც კი ველია!
აქა ვარ გაჩერებული,
აჰა, მეორე წელია...

ღამეა, ვწევარ მარტოკა,
არავინა მყავს გვერდითა,
ვლიე სიწყნარე, სიჩუმე,
ვფიქრობ და ვსუნთქავ მკერდითა.

ადგილი გახლავთ უდაბნო,
უსიცოცხლო და ბნელია,
ვიფიქრე კაცის აქ ყოფნა
არაფრად ვარგა, ძნელია.

ისმის ქარისა ზუზუნი,
სასედ მეყრება მტვერია?
მითხარით კაცი თუ არის
კაცი თავისა მტერია?

მეც მინდა თავი ვანებო
უდაბნო არე-მარესა,
ავდგე, წავიდე აქედან
იმ განათებულ მხარესა,

სად ესლაც ვხედავ სინათლეს
მოციმციმესა ნათელსა.
სად გავატარებ მე დროსა
და სიცოცხლესა მე მთელსა.

ვიშ, რა კარგია ცხოვრება,
როცა ხარ სინათლეზედა,
თუ აქ დავრჩები, ვინ მნახავს,
დამეფარება კლდე ზედა.

მე წავალ, აქ არ დავრჩები,
ვიარო ღამე – დღე ზედა,
ხან ჩავალ მე ღრმა ხევებში,
ხან ავალ მაღლა კლდეზედა.

იმ სინათლესთან მისვლამდე,
მე გრძელი გზა მაქვს სავალი,
ზუსტად თხუთმეტი წელია
და დამატებაც მრავალი.

გამიძნელდება მე ვიცი
უდაბნო, გზებზედ წასვლამდე,
ხომ ხედავთ მრავალ ტყე-ღრესა,
მსურს გადალახვა, გასვლა მე.

თუნდ მოვკვდე, უნდა წავიდე
იმ განათებულ მხარეში,
იქ ვნახავ ლამაზ ვარსკლავებს,
ვიცხოვრებ ლამაზ არეში.

ავიღე ბარგი-ბარხანა
და გავუდექი გზასა მე,
მივდივარ მედგრად და მტკიცედ,
თითქმის არც ვიღებ ხმასა მე.

რომ ავირჩიო კარგი გზა,
ღრმად ვუფიქრდები ჭკვასა მე,
ვიღლები, ოფლად ვიღვრები,
მაგრამ არ ვამბობ, ვასა — მე.

შემოდგომაა, ხომ იცით,
ხეხილთ სცვივდება ფოთოლი,
ტყეს გადასვლია სიმწვანე,
გარემო არის ყვითელი.

და როგორც მგზავრი მივდივარ,
არც კი ვჩერდები გზაზედა,
ფრინველთა ხმებიც შეცვლილა
ჰგალობენ უცხო ხმაზედა.

ამ შეცვლილ არე-მარესგან
მეც შევიცვალე ძალზედა,
ასე, ამგვარად ვიარე
იმ უდაბურსა გზაზედა.

ოთხივე მხარეს დავყურებ
ვითარც სარკეს და მინასა.
ის სინათლე კი შორს არის,
აქ ვერ ვიშოვნი ბინასა.

იმ სერსაც თავი ვანებე,
მივდივარ წინ და წინა მე,
სად მიღამდება იქა მაქვს
სახლი, კარი და ბინა მე.

ოხ, როგორ ზლაზვნით მიდიან
ეს შემოდგომის დღეები
და მიმძიმს, ვით გავატარო
ასეთ მგზავრობით თვეები?

გასრულდა შემოდგომაცა
ზამთარი მოდის ყინვითა,
თოვლიც დაიწყო — თეთრადა,
ვიარო წინ და წინ ვითა?

მაგრამ გულს შიში არა მაქვს,
ცივს ჰაერს ვსუნთქავ მკერდითა,
მივდივარ მტკიცე ნაბიჯით,
თუმც არავინ მყავს გვერდითა.

ზამთარმა არემარესა
მისცა ახალი ფერია,
თეთრი მოჰფინა მიდამოს
ის სხვა ფერების მტერია.

აღარც ფრინველთა ჭიკჭიკი,
აღარც ბუზი და მწერია,
ვინცა მნახავდა მე იმ დროს
გულში იტყოდა „შტერია.“

ასეთ სისწრაფით სად მიდის,
თოვლი, ყინვა და ქარია...
ბუქი ტრიალებს, ქარს გასვლა
სუყველასათვის მწარია.

მე კი ხელთა მაქვს „კომპასი“,
წიგნი, ქაღალდი, კალამი,
რომ მე სინათლეს მივწერო
გულით მხურვალე სალამი.

ყველაფერს ზამთრის ფერი აქვს,
მეც კი ვთეთრდები თოვლითა,
გასწყალდა ზამთრის გულია
უკმაყოფილო ყოვლითა.

მიიზლაზნება ზამთარი
შავ-ბნელ და გრძელი ღამითა.
მე წინ მივდივარ დღედაღამ
არსად ვისვენებ წამითა.

ვნატრულობ მე ჩემს სიყვარულს,
ამწვანებულ გაზაფხულსა
და ვამბობ, ის მალე მოვა,
მით ვინუგეშებ მე გულსა.

და ვსედავ თანდათან თბება
ცივი ჰაერი, მიწა, ცა.
ვუყურებ ჯანყიც აღარ აქვს
და იწმინდება მაღლა ცა.

გულში მიხარის ეს საქმე,
მუსლთ შემემატა ღონე მე,
შემძულდა ზამთრის სიმწარე,
როცა ის მოვიგონე მე.

აგერ მოსულა, დამდგარა
ჩემს წინა გაზაფხულია
და ამით გახარებულა
ეს დაჩაგრული გულია.

პირველად ვნახე ყვავილი,
კოცნა დავუწყე პირითა.
გულზედ მიბერავს ნიავი,
ტკბილ გაზაფხულის დილითა.

ამოდის ნათელ სხივებით
მზე ჩემი საყვარელია,
ოხ, ყვავილები, ვარდები
მრავალფერია, ქრელია.

მიყვარს ია და ენძელა,
მათ მე შევახო ხელია,
შევახე ხელი და ვნახე
დანამულია, სველია.

მე მომაგონდა სინათლე
სადაც კი მივეჩქარები,
ოხ, რა შორს არის ის არე,
გზა კი მაქვს გასამწარები.

გამოვესალმე ვარდებსა,
ენძელებსა და იასა,
ყველაფერს გაულვიძნია,
ფრინველებსა და ჭიასა.

მესმის ბულბულთა გალობა,
იძახის „ტიავ-ტიასა."
თოვლიც გამდნარა და მინდორს
ფარავს ბალახი მწვანეთა.

ხევზედ ჩხრიალებს მდინარე,
წმინდა და მოკამკამეა,
და გაზაფხულმა ყველგანა,
მოჰფინა თვისი ფერია.

ყველაფერს მისცა ლაზათი,
მეც მომცა კარგი ფერია,
ვარდებით მისი სახელი,
რომ ნახოთ გულს მაწერია.

სულ ახალ-ახალ ჰანგებზე
მსოლოდ დღეს დამიმღერია,
მღერით მივდივართ წინდაწინ
ვერ შემაჩერებს მტერია,
შენ, წამკითხველო გაიგე,
რაც მე აქ დამიწერია.

მაგრამ ტკბილი გაზაფხლი
მე შემიცვალა ზაფხულმა,
სიცხემ შემწვა და მომხრაკა
წუხილიც იწყო ამ გულმა.

წინდაწინ წასვლა ძნელია,
მსურს გაჩერება გზაში მე,
ვნახე ლამაზი ხეხილი,
გავჩერდი იმის ჩრდილში მე.

ზაფხულმაც დაღი დამასვა
თავის ძლიერი სიცხითა,
თუ ღამე წასვლას ვაგრძელებ
არსად მივდივარ მე დღითა.

ზაფხულიც ასე გავიდა
და ისევ შემოდგომაა,
ზამთრისთვის ემზადებიან
სულყველაფერი ბლომაა.

პური, ქერი და სიმინდი,
სავსე ქვევრები ღვინითა,
პირუტყვებისთვის საკვები
გლეხებმა დადგეს ზვინითა.

მეც მოვუმატე სიარულს,
მივალ დღითა და ღამითა,
მივდივარ მედგარ ნაბიჯით,
არსად ვჩერდები წამითა.

ასე გავიდა ცხრა წელი,
სცვლიდნენ დღეები – დღეებსა,
მაგარი მქონდა ჯერ წელი,
თვეებიც სცვლიდნენ თვეებსა.

ხომ იცით ყოველ წელიწადს,
სცვლიან ერთმანეთს დროები,
ამინდის შეცვლისათვისაც
მზადა აქვთ ხელსაწყოები.

შემოდგომა გააყვითლებს
ზამთარი გააცივებსა,
გაზაფხული გაამწვანებს,
ზაფხული იბულბულებსა.

მეც შევეჩვიე დროთა ცვლას,
ეჩვევა ჩემი გულიცა,
სინათლეს ვუახლოვდები,
მეძლევა სიხარულიცა.

ცხრა წელიწადი მივლია,
მაქვს ექვსი წლისა სავალი,
მაგრამ არ ვიცი ჩემ თავზე
სწერია არმომავალი...

ხომ იცით კაცი ყოველი
არს იმ ქვეყნად წამავალი.
გამოუჩნდება მიზეზი,
რომ მოიხადოს მან ვალი.

კაცი ვინ არის სიცოცხლეს
უკვდავად შეინახავსა.
წინდაწინ ვერვინ გაიგებს
რასაც შედეგში ნახავსა.

არც მე ვიცოდი თუ გზაზედ
მე რა საქმენი მელოდა,
წინ მივდიოდი ჩემს გზაზე
მე სიარულიც მშვენოდა.

არის საღამო, როს ვნახე
ჩემს წინ უღრანი ხევია,
მზეო, ხევებში მრავალჯერ
მე ღამე გამითევია.

მაგრამ რას ვხედავ, უეცრად
შავად ღრუბლებსა ცაზედა,
ყველამ ბინას მიაშურა
ჭექა-ქუხილის ხმაზედა.

მე კი გავჩერდი მარტოკა
იმ ულრან ხევის პირზედა,
ახლა კი წინ ველარ წავალ,
მედება ჭირი ჭირზედა.

დაიწყო წვიმა, თან სეტყვა
იმ შავი ღრუბლის წყალობით,
ფრინველნიც შეწუხებულან
არ ჭიკჭიკებენ გალობით.

ჩემს ირგვლივ არე-მარესა
რა გადავავლე თვალია,
ის ხევი ადიდებულა
მღვრიე და შავი წყალითა.

მეათე შემოდგომაა,
ველარ მივდივარ წინა მე.
გული ამევსო დარდითა,
ცხარე ცრემლებით ვინამე.

ნუთუ ვერ ვნახავ იმ მხარეს,
სად სინათლე და შუქია?
სადაც მივდივარ გულდაგულ
და არც ჩემს ენას უქია?

ნუთუ ეს ჩემი სიცოცხლე
იქნება შავი, მუქია?
და არ მოსვდება ის სხივი,
ის სანატრელი შუქია?

ეს ხევი ადიდებული,
მღვრიე წყლით სავსე ღრიალებს,
მაღლა კი შავი ღრუბელი
გულის სახეთქად გრიალებს.

ნუთუ ეს შავი ამინდი,
მხოლოდ ჩემს თავზე ტრიალებს?
ვგრძნობ — ველარ წავალ მე წინა,
ჯავრისგან გული ფრიალებს.

წამს გამიტაცეს ფიქრებმა,
მე ვდგევარ გაქვავებული.
მივხვდი, რომ ჩემთვის დამჭკნარან
ვარდები გაყვავებული.

მაგრამ მახსოვს შოთას სიტყვა:
მოჭირვება, ჭირთა თმენა?
ძალით ვერაფერს გამოვალ,
მით დავიწყე მეც მოთმენა.

ვხედავ, რომ წყალი მიქადის
სიკვდილსა, მე დახრჩობასა,
ჩემ თავის ქვეყნად მოსპობას,
მიწაში გამოწყობასა.

მე ვდგავარ გაქვავებული
და ვითმენ ასეთ ყოფასა,
გაჭირვება მაწყევლინებს
ჩემს გაჩენასა, შობასა.

ღრუბელთა გადაწმენდასა
გულით და სულით ველია.
წინწასვლას აღარა ვჩივი,
ოღონდ გადავრჩე მრთელია.

ღრუბლები გადაიწმინდა,
მზეც გამოვიდა ცაზედა,
მაგრამ მდინარე არ დგება,
ღრიალებს მხეცთა ხმაზედა.

მოდით, მითხარით, რა ვუყო,
როგორ გავიდე მაზედა?
სურვილი გულში დაემარხო?
ხომ შევიცვალე ჭკუაზედა!

როგორ გავიდე – ამ წყალზე,
ადიდებულა, დიდია,
არცა ბორანი, არც ნავი,
არც ხელოვნური ხიდია.

არცა კაცი მყავს ისეთი,
მე გამიყვანდეს წყალზედა,
რომ გავაგრძელო, წავიდე
საყვარელ გზა და კვალზედა.

თუ შიგ შევედი დამასრჩობს,
ხომ მომკლა უეჭველადა.
სჯობია მე აქ გავჩერდე,
ვიყო აქ მინდორ-ველადა.

როცა გაჩერდეს ეს წყალი,
გავიდე იქით ხელადა.
ვიქნები ისევ ის მგზავრი,
ისევ იმ გზაზე მვლელადა.

მდინარე აღარ ჩერდება,
აჰა, დღესაც კი ველია,
აქა ვარ გაჩერებული,
დღეს გახდა ორი წელია.

გულს გადავწყვიტე „ახალი“
ჩემი აზრით და გულითა,
ავიდე მაღალ გორაზე,
სინათლის სიყვარულითა.

იქ დავრჩე მე სიკვდილამდე,
იქ მოვა სხივი ნათლისა.
ერთი სხივიც გამახარებს,
მოყვარე ვარ სინათლისა.

იქ გავაშენებ მე სახლსა,
მოვქარგავ ლამაზ ვარდებით.
იქ ავივსები სტუმრებით
ყოველგვარ ხალხით კარგებით.

აჰა, მთაზე ვარ და ვფიქრობ
ჩემს წარსულ მომავალზედა,
სურვილი გულში დავმარხე
ცრემლები მომდის თვალზედა.

ხედავ, აქ ვრჩები, დე დავრჩე,
ვიყო ამ მწვერვალ-მთაზედა,
სოფლებს, ქალაქებს მე ვხედავ
კარგად დავყურებ თავზედა;

აქ, რომ სახლი ავაშნო
დაინახავს მას სულყველა,
ჩემ მარჯვენით ავაშენო,
დამჭირდება არვის შველა.

აგერ ქვა, აგერ ცემენტი,
აგერ ქვიშა და ლამია,
სე-ტყე-მასალის მოქრაზე
მე ოფლი დამილამია.

აგერ ლაფატკა, წერაქვი,
აგერ თოხი და ბარია,
დღისით მზე გამომაღვიძებს,
არ დამაძინებს მთვარეა.

ხვალ დილით მიწას ამოვთხრი,
ჩავაგდო საძირკველია,
მალე იმ მთაზედ იქნება
სახლი ლამაზი მთელია.

მე ყოველ მხრიდან ხმა მესმის
„ჩემსკენ ჰქენ სახლის კარები"
შენი სახლისა ოქროს კარს
ხედავდეს ჩვენი თვალები"

მე ყურს არ ვუგდებ იმათ სმას,
იმათ სვეწნას და ფერებას,
გავუძლებ იმათ დარტყმასა,
იმათ ლანძღვას და ყვედრებას.

კარს სახლსა იქითკენ ვუზამ
სადაც რომ შუქ-ნათელია.
სად მივდიოდი დღედაღამ
სად ჩემი სანატრელია.

იქიდან ნატყორცნი სსივი
კარით ეცემა ჩემს გულსა,
მით მომინდება იქ წასვლა
მომიმატებს სიყვარულსა.



ნეტა რას ელის

ნეტავ, რას ელის საწყალი,
ის ავადმყოფი, სნეული?
აღარ მორჩება, მოკვდება,
ჭირთაგან არის ძლეული.

ნეტავ ვიცოდე, რას ფიქრობს,
იმის აზრი და გულია?
იცის რომ აღარ მორჩება,
ესლავე დაკარგულია.

აღარც ძალი აქვს, არც ღონე,
აღარც სისხლი და ხორცია,
აღარც რამეს სვამს, აღარც სჭამს,
ისევე უდგას „პორცია."

ვერც ფეხზედ დგება, ვერც ჯდება,
ისე არს მოსვენებული,
ვერცა ხმას უწევს, ვერც ხედავს,
თვალი აქვს დაბნელებული.

ნეტავ ვიცოდე ვინ არის,
ანუ ვისაგან შობილა?
ან თუ ჰქონია სახელი,
ანდა რა გზაზედ ყოფილა?

იქნება გასლდათ არტისტი,
ხალხისა გამხარებელი?
ან მეცნიერი ამქვეყნად
დიდ საქმის ფუძემდებელი?

იქნება იყო მდიდარი,
ჰქონდა ოქრო და ფულია?
იქნება იყო მიჯნური
და ჰქონდა სიყვარულია?

შუბლზედ აქვს სამი ნაოჭი —
დაღონებული გულისა,
სახეს ატყვია ბეჭედი,
მძიმე და ძნელი წყლულისა.

არავისა სურს შეხედოს
იმის თვალსა და წამწამსა,
ვინცა შესადავს ინანებს,
თვალს აარიდებს იმ წამსა.

ნუთუ ის კაცი არ არის,
არცთა კაცთაგან შობილი?!
ნუთუ არ ჰყავდა მაგ საწყალს,
ძმაკაცნი, ანდა დობილნი?

თუ ჰყავდა, რატომ აღარ ჰყავს,
მას გაჭირვების ხანაში?
ხომ იცით, იგი სად მიჰყავთ,
ეხლა მოკვდება „ვანაში“.

ეხლავე დავიწყებიათ
მეგობრებსა და ყველასა,
ყველაფერს მოკლებულია
და აღარც ელის შველასა.

ამის მკითხველო, დაფიქრდი,
კითხვაზე პასუხს მოველი!
მიდის თუ არა ამ გზაზე
ადამიანი ყოველი?

მითხარი ვინ გაექცევა
სიკვდილს და ბედისწერასა?
ვინ არ მოშორდეს ტურფა ბაღს
და იმის ვარდებს ყველასა?

ვინაც მოკვდება, მორჩება,
თუნდა ყოფილა, თუნდ არა,
ჩვენცა მოვკვდებით და წავალთ,
თუგინდ ვინაღვლოთ, თუნდ არა.

დღეს ეგ მოკვდება, რადგანაც
ერგო დღეს, მაგის ჯერია,
მაგას ის შერჩა, რაც ოდენ
ვარდებთან დაუმღერია.

სიკვდილი არის აქლემი,
იჩოქებს ყველას კარებზე;
ასეთ აქლემის მნახველი,
იწვება ცეცხლის ალებზე.

მკითხველნო, მანამ ცოცხალ ხართ,
ნუ აივსებით დარდებით,
იმხიარულეთ ყოველდღე
და გაიხარეთ ვარდებით.

და როცა ჟამი მოგივათ,
მაშინ იქნება გვიანი,
მაშინ გაარჩევთ დავითსა
არის გიჟი თუ ჭკვიანი.

კიშინიოვი
1940 წლის 10 დეკემბერი

ოცი წლისა ახალგაზრდა მეგონა მოხუცებული...

ოცი წლისა ახალგაზრდა
მეგონა მოხუცებული,
შუბლი და სახე ნაოჭით,
თმაც ჰქონდა გათეთრებული.

წელშიც მოხრილი და თვალთაც
სინათლე გამოკლებული.
მუსლშიც არ ჰქონდა მას ღონე
და ყურთაც ჰქონდა კლებული.

მე შევეკითხე: მოხუცო,
რათა მსახურობ ჯარშია?
ხომ იცი შენი ტოლები
არც კი გასულან კარშია.

მან მითხრა: შენ ნუ გგონიყარ
მოხუცებულიი მე ხნითა,
გახლავარ სულ ახალგაზრდა,
მაქვს ოცი წელი მე დღითა...

რამ დამაბერა და მომსპო,
მე, როგორ გითხრა ენითა,
ან რისთვის გინდა ისმინო,
ჩემი ამბავი სმენითა?

ისეთი საქმე გადამხდა,
მძიმე და გაუტანელი.
იმ საქმემ ცეცხლად შემინთო,
აღარ მშორდება წვა ნელი.

იმ საქმემ ფიქრად მაქცია
და სიცოცხლე მაქვს ოხ, ძნელი.
იმ საქმემ მე დამაბერა
და სინათლე მაქვს მე ბნელი.

იმ საქმეს არავის ვეტყვი,
დე, დამრჩეს გულში და თავში.
მალე მოვკვდები და ჩემს დარდს
თანვე ჩავიტან საფლავში.

1940 წ. 12
დეკემბერი



ნაწყვეტი წერილიდან...

...ახლა, თუ ჩემს ამბავს იკითხავთ მე კარგადა ვარ.

ჩვენ ბესარაბიიდან უკან დავიწიეთ. ესლა მე ვარ უკრაინაში, ქალაქ კატოვსკში, ოდესის ოლქში...

...ის ლექსები, რომლებიც დავწერე კიშინევის გოსპიტალში, მე სულ აქა მაქვს და არ ვიცი რა ვუყო. აქედან ერთ-ერთ ლისტოკს გიგზავნით, თუ მიიღოთ კარგად შემინახეთ...

თქვენი დავითი

პატარა ლექსი

შეინახეთ

როცა პოსტზე ვდგავარ მარტო
და არ მესმის მე ხმა სხვისა,
მაშინ ტკბილი ფიქრით მართობს,
ცივი ქარიც მაღალ მთისა.

როს სიბნელე ირგვლივ ფართობს,
არსად სხივი სინათლისა,
როს ხალხს სძინავს და არ დარდობს,
ძალა უნდათ მათ შრომისა.

სწორედ მაშინ მინდა ვიყო,
ქაღალდით და კალმით ხელში.
ერთ პატარა სანთლის სხივით —
მე პატარა ჩემს სოფელში.

გულის ცეცხლის ნაპერწკლითა
მე დავანთო ცეცხლის ალი,
ნახოს ხალხმა ჩემი ძალი,
ჩემი კალმის მომავალი.

22 აგვისტო 1941

ნაწყვეტი წერილიდან...

საყვარელ მშობლებს,
დაუფასებელ — ძვირფას დას,
დაუვიწყარ ძმებს...

დავითისაგან

ახლა რასა გთხოვთ თუ პასილკა გამოგ-ზავნოთ გამოაყოლეთ წიგნები, „ალგ. ამოც. კრებული“ ნაწ, 1 ნაწ. და მე-2.

1941 წ. 12 თებერვალი

ნაწყვეტები პოემიდან „მე გეტყვით მწყემსის ამბავსა“...

...ერიდეთ ორგულობასა და
მოღალატის ძმობასა,
ნუ იზამთ თქვენ ავ საქმესა
და მეგობრისა გმობასა...

ორგულთან პური არ სჭამოთ,
თუგინდ კვდებოდეთ მშიერი,
ორპირს ენა აქვს გველისა,
თქვენ ღონითა ხართ ძლიერი...

ალალი ღონე წახდება,
იმის შხამიან კბენითა,
სანამდის ხმალი მისწვდება,
თავს მოგჭრის ავი ენითა...

თქვენს სახელოვან საქმეზედ
ორპირს აღეძვრის შურია,
ძირში სამარეს გაგითხრის,
სიტყვა, შეხედვა ძმურია...

რა კაცი ნახოთ ორპირი,
ნულარ ენდობით მასაო,
ნულარ გაივლით შვილებო
მის გაკეთებულ გზასაო...

ის კაცი უვარგისია,
დაეძებს ვინავობასა,
ავობით და ორგულობით
ავნებს ახალ თაობასა...

...იყო მეგობრის მოყვარე,
გამტანი და ერთგულია,
მაგრამ სალსი ქვეყანაზე
ათასანაირად რთულია.

საწყალ ზურაბს მოასვიეს
თავზე სევდის მავრთულია.
დაუქციეს ორგულ სალხმა
მას ცხოვრების სართულია.

შველა ვის სთხოვოს საწყალმა,
ღამე შავია, ბნელია,
მთაზე მის ყოფნა მარტოკა
იცოდეთ მეტად ძნელია...

1939 წლის 28 ივლისი

(ამ თემას ავტორი, როგორც ჩანს კიდევ დაუბრუნდა) რედ.

ავადმყოფი
პოემა

იქ, სადაც მოიმღერიან,
ჩანჩქერნი მაღალ მთისანი,
სადაც რომ ნაყოფდებიან
ყვავილნი ძვირფას ხისანი,

სადაც რომ დაიზრდებიან,
შვილები არწივისანი,
ძალ-ღონით სავსე ბიჭები,
მტკიცენი გულებ ქვისანი,

იქ გაჩნდა ბიჭი ზურაბი,
ჩვენი პოემის გმირია,
ცხოვრების გზაზე მან ნახა
მრავალი გასაჭირია.

გაშორდა ტურფა საშობლოს,
ვარდიანს, ყვავილიანსა,
ნაზსა, ლამაზსა, ტურფასა,
გამწვანებულსა, მთიანსა.

ბაღები ყურძნით, ვაშლებით,
კურორტ-შადრევან-წყლიანსა,
სამშობლო – საქართველოსა
შავთვალა ქალებიანსა.

სიცოცხლით სავსე მეგობრებს
კუნთ-ძარღვებ-მკლავებიანსა,
მშობლებსა, ნათესავებსა
ანთებულგულებიანსა.

გაშორდა გულით საყვარელს,
ჟუჟუნა თვალებიანსა,
გაშორდა საქართველოსა
ელვარე მნათობ-მზიანსა.

სად გაატარა ბავშვობა
იმ ძვირფას არემარესა,
გაშორდა სამუდამოთა
ტურფა სამშობლი მსარესა.

ამიტომ ემორჩილება
ზურაბი ფიქრებს მწარესა,
შეჰყურებს მნათობ ვარსკვლავებს,
მნათობ მზესა და მთვარესა.

ღამე შორეულ მსარეში
ჩერდება მატარებელი,
სულ ასალ არემარეში
ხალხისა სატარებელი.

ზურაბი უკრაინაში,
გადმოდის, იყო ბრძანება,
ერთ განათებულ სადგურში,
თავი იჩინა ალებმა...

სადგური იყო გავსილი
აქაურ ქალებისაგან.
ზურაბი დაღალულია
დიდ გზისა წვალებისაგან.

ზურაბმა და მეგობრებმა
სადგურში გაიარესა
ქალებმა სიცილ-სიცილით
მათ გვერდით ჩაუარესა.

ზურაბი სახელამაზი,
ჰგავს მნათობ მზესა, მთვარესა,
და ტანი ლაღად ნაზარდი
მოგაგონებდათ საროსა,
უკრაინელ ქალს უნდა, რომ
დღეს მისგან გაიხაროსა.

აგერ მოვიდნენ ბიჭებთან
ერთი პარტია ქალები,
ზურაბმა ნახა ქალებსა
არა აქვთ შავი თვალები.

ამათ ხომ ხედავთ, აკლიათ
ის საიდუმლო ძალები,
რაიცა მიმზიდველია,
თანაც გამთბობი გულისა,
არ ჰგვანან ქართველ ქალებსა,
თვალებით, არცა ტანითა...

ქალებმა ბიჭებისაგან
იხარეს იმა ღამითა,
ქართველთა შვილებისაგან
დატკბენ წუთითა, წამითა.

ღამე გავიდა ტრფიალით,
დრო აღარ იყო ძილისა,
ბიჭებმა ამოისუნთქეს
ქარი, ნიავი დილისა...
ნახეს ბიჭებმა ქალაქი,
ქალაქი უკრაინისა.

ქართველნი მწყობრით მიდიან
ქალაქის ქუჩა-გზაზედა,
ხალხი შორიდან ისწრფვის
იმათ სიმღერის ხმაზედა.

აქ ფერი დაუკარგიათ,
ღამე ნათობდნენ ცაზედა,
მათ მიუჩინეს ყაზარმა,
„ნარები“ თავის რიგზედა...

ერთმა სთქვა, ეს სად მოვედით,
აქა ვერ გასძლებს გულია,
მე დღესა ჩემი სიცოცხლე
მგონია დაკარგულია.
სად არის ჩვენი სამშობლო,
ქვეყანათ თაიგულია.

სად არის ყვავილიანი
იგი მყვირალა წყლებითა,
სად არის ტურფა სამშობლო,
ის გამწვანებულ მთებითა.

მეცხვარე ჯოხით მხარზედა,
დასუქებული ცხვრებითა,
სად არის ეხლა ბაღები,
გავსილი ტკბილი ხილითა.

სიცივე გიკბენს ძაღლივით,
თუ გარეთ გახვალ დილითა,
ეს არ ჰგავს საქართველოსა,
ავად გავხვდები ჭირითა.

მუდამდღე მოჰყავთ ბიჭები
სხვადასხვა ეროვნებისა,
ეხლა იწყება ზურაბის
ცხოვრება განახლებისა.

აქ მოიყვანეს ბიჭები
სხვადასხვა ეროვნებისა,
აზერბაიჯან-სომეხნი
და შვილნი უზბეკებისა.

ყაზახ-ტაჯიკნი, ყირგიზნი
და შვილნი ჩუვაშებისა,
რუსები, ბელორუსები
და შვილნი უკრაინისა.
ოსნი, თურქმენნი, თათარნნი
გახლავთ სხვადასხვა ენისა...

არა ესმოდა ზურაბსა
მათი სიტყვა და აზრია,
ზურაბიც ვერვის გადასცემს
თუ რამ აქვს მონასაზრია...

ვერ ჰგუობს სხვასა ზურაბი,
უყვარდა ქართველებია,
ამბობდა ქართვლის შვილები
სუყველა ჩემი ძმებია.

მაგრამ სულ მალე სხვებისაც
ის გახდა ახლობელია,
მას შეუყვარდა სომეხნიც,
და მათი სიმღერებია,
საიათნოვას ჰანგებსა
ამბობდნენ ტკბილი სმებია.

აზერბაიჯნის შვილებიც
გახდნენ მის მეგობრებია.
როს დაიწყებდნენ სიმღერებს
მულამათ-ბაიათებსა,
მალამოდ ეფინებოდა,
სულს მისსა ნაიარევსა...

ზურაბიც მათ მიაპყრობდა
თავის მასვილსა სმენასა.
იყო ტკბილი და სწავლობდა
აზერბაიჯნულ ენასა.

კავკასიური ენები
კარგად ისწავლა ყველა მან,
მალე ამ ათასეულში
თითქმის გაიცნო ყველა მან.

და ჭკვიანური ქცევითა
ის ყველას მეგობარია,
სადაც კი შეგროვდებიან
სიტყვა ზურაბის ზარია.

ესლა აღარ სძულს, პირიქით
უყვარს ნაცია მცირედნი,
იგი მათ გაუადვილებს
თუ არის გასაჭირვებნი.

ზურაბი მიხვდა, გაიგო,
რომ ყველა კაცთა ტომია,
ყველას აქვს გული კაცისა,
ჩაგვრა რა მოსანდომია.

სიმართლის კაცი გიყვარდეს,
ნაცია რა სათქმელია,
ყველას აქვს ენა, გონება,
თუმც ბევრი არის გველია.

გველი კაცისა მოქცევა
მეგობრის გულის მწველია.
ვისაც არა აქვს შეგნება,
იცოდეთ იგი ბნელია.

დაგაწყევლინებს სიცოცხლეს,
მათთან სიცოცხლე ძნელია.

მაშ ასე, ამის მკითხველნო,
თქვენცა იცოდეთ კარგია,
რად გინდათ ავი მეგობრად,
იგი ხომ დასაკარგია.

თქვენ ნუ იფიქრებთ ცუდია,
იგი არს ესე ნაცია,
ისიც არსებობს ამ ქვეყნად,
ისიც შენსავით კაცია.

სხვადასხვა ეროვნებებში
ზურაბი გარეულია,
სულყველას ძმათა ღებულობს
ქართველ ზურაბის გულია.

...ზურაბმა ხელში აიღო
ავტომატ-ტყვიამფრქვევია,
მისი მოვლა და ხმარება,

ადვილად დასაჩვევია.
გაუძნელდება ტარება,
ვისაც ის არა სჩვევია.

ზურაბი იყო მებრძოლი,
მებრძოლი ფეხოსანია,
ეჩვევა სამსედრო საქმეს,
რაც გადის დრო და ხანია.

ზურაბსა ბევრი ცივი დღე
აკოფში დაუღამია,
იყო თოვლებში, ყინვაში,
მით აღარ არის სამია.

ისწავლა შტიკის ხმარება,
როგორც ხმარობენ ბრძოლაში,
ყველას სჯობნიდა ზურაბი
გრანატის გადასროლაში.

მუცლით ცურვა და სირბილში
ზურაბი პირველი არი.
შემოირბენდნენ ტაქტიკით
სად დიდი მინდორი არი.

ცხრა ოვე გავიდა ამ ყოფით,
გახდა ნასწავლი ჯარია.
ბესარაბიის საზღვარზე
ზურაბი პოსტზე მდგარია.

მშვიდობიანად დაუთმეს.
არვინ შეიქმნა მკვდარია.
დნესტრიდან კიროვამდისა
ხუთას სამოცი ვერსია...

რვა სუტკა ფეხით იარეს,
დარში,წვიმაში, ქარშია...
ამით გათავდა ზურაბის
ყოფნა ფეხოსან ჯარშია.
ზოგს მერე გეტყვით. რაც მოხდა
მის შემდეგ მომავალშია.

1942 წ. 24 მარტი
ბადე



მეგარმონე

პოემა

ზაფხულის დღეა. სიცხეა,
მზე სწვავს მთელ არე-მარესა,
მზე დასწოლია მუხათსა
ტურფა სამშობლო მსარესა.

მინდორში მუშაობაა,
ოფლი იღვრება შრომისა.
არის ზამთრისთვის მზადება
კაცთაგან მოსანდომისა.

მე კი მსურს მგზავრი შევიქმნე,
მივდივარ შარა გზაზედა.
მსურდა მცოდნოდა ამიტომ
ვფიქრობდი მომავალზედა...

სოფელ კოდაზე ჩავედი,
ავტოს ველოდი გზაზედა,
მომესმა გარმონის დაკვრა,
იგი ვიცანი ხმაზედა.

საამო ხმითა, თავისთვის
ის დამღეროდა მასზედა.
როს მნახა, შემიპატიჟა
ყურს ვუგდებ. ვუსმენ ტკბილათა...

ის ჩემი ძმაბიჭი არი,
თან კარგი მეგობარია,
მიყვარს მუსიკა, სიმღერა.
მისი ხმა, ვითა ზარია.

სახელად ჰქვია იშხანი,
ის ხომ გაშლილი ვარდია,
ის უყვარს ყველას ვინც იცნობს,
ის მეგარმონე კარგია.

მე გამოვშორდი იმასა,
ავიღე ჩემი ბარგია,
წაველ ჩემს გზაზედ და ვნახე,
რაც იყო ჩემი დარდია.

მაგრამ მე გზაზე მესმოდა,
ხმა მისი საამურია,
იშხანი იყო ბიჭების
ძვირფასი თაიგულია.

მას ყავდა ცოლი ლამაზი
და კარგი გულის ქალია,
ჰყავდა ბიჭი და ქალები,
შვილები მომავალია.

მას უსაროდა როცა კარგს
უმზერდა მისი თვალია,
თუ მოშორდება მის გულსა
დასწვავს ცეცხლისა ალია.

ის ჩამოვიდა თბილისში,
თავის გარმონით ხელშია,
ცეკვა, თაშაში, ქეიფი,
ტკბილი სიმღერა ყელშია.

აქ იყვნენ ყოველი მსრიდან
მოსული პირველობაზე,
სახელზე, ვაჟკაცობაზე,
გაცნობად მათ ხელობაზე.

მღერა და დაკვრა გარმონზე,
თითების ზედ აწყობაზე,
ბევრი მოსულა ეშხზედა,
იშხანის ოსტატობაზედ.

ყველამ თავისი დაუკრა,
ყველამ თავისი იმღერა,
ბოლოს ხალხს მოხვდა ხმა ტკბილი,
იშხანის დაკვრა, სიმღერა.

იყო პირველი და იშხანს
დაუთმეს პირველობაცა,
შვენოდა სალხისგან ქება.
დიდება, ხოტბა, მკობაცა.

ბევრი გაუხდა მეგობრად
და ბევრმა უთხრა ძმობაცა,
ეს ნახეს მეგარმონებმა
გულს ჩაიტანეს შურია.

პირადად არა უთხრეს რა,
სიტყვა-პასუხი ძმურია,
მაგრამ იმათა გულს ჯავრი —
იშხანის ტანჯვა სწყურიათ.

იშხანი ხვეწნით, ვედრებით
მათ მიჰყავთ დასალევათა,
მისი ცხოვრების, სიცოცხლის
დაწვად და დასაძლევადა.

ბევრი არს ამა ქვეყნადა
სხვის შრომის დასანგრევათა,
ქვეყნად ლამაზის და კარგის
მხოლოდ თავისთვის რჩევითა,
მათგან ისპობა მრავალი
ლამაზი ალვა-სასითა...

აგერ ჩავიდნენ ბიჭები
პადვალში დასალევათა,
იშხანიც თავის გარმონით
აქ გახლავთ დასაკვრელათა.

რა იცის კაცმა სხვის გული,
ის ინახება ბნელათა,
მას ვერა ნახავ ეცადო,
მოგეჩვენება ჭრელათა.

იშხანსა ამხანაგები
დღეს ეპყრობოდნენ ძმურადა,
იმასაც ძმები ჰგონია,
მით არის მხიარულადა,
გარმონს უკრავს და დამღერის
სიმღერებს ირანულათა...

მეგობრებს მოაქვთ სუფრაზე
საჭმელ-სასმელი სრულათა.
რომ მათი თავი —იშხანი
არ გახლდეთ გულნაკლულათა.

პატივისცემა, ქეიფი
მოწყობილ იყო მტრულათა,
იშხანის მტრობა მათ ჰქონდათ
ჩუმათა, დამალულათა...
შურისძიება მოძმისა
მათ ჰქონდათ შენახულათა.

მათი სახელი, დიდება
იშხანით იკარგებოდა,
იშხანს არ ჰყავდა ბადალი,
სხვა მკვრელი შურით კვდებოდა.

ხალხსა უყვარდა იშხანი,
მით ჰქონდა პატივი დიდი,
იშხანის მღერით ხარობდა,
კაცთა მეგობრობის ხიდი.

იშხანმა, ხალხი ვახარო,
სიმღერას ფულად არ ვყიდი...
როს სხვანი მოსიმღერენი
მუსიკას ყიდდნენ ფულითა.

მათ იშხანისა დიდება
გულ-ღვიძლს უვსებდა შურითა,
მათ შურდათ, რადგან იშხანი
უყვარდათ სალხსა გულითა.

მათა თქვეს ხალხსა იშხანი
ახარებს სიყვარულითა,
მან პირველობაც მიიღო,
როს გვქონდა შეჯიბრებაო,
ჩვენ რაცა გვქონდა სახელი
ისიცა გვეკარგებაო.

ხომ გახსოვს ერთხელ კოჯორზე,
რომ გამოგრეკეს კარშია,
მაგას აქვს ახლა სახელი,
იცნობენ მთა და ბარშია.

სადაც ჩვენ უნდა დავუკრათ,
მოვკრიფოთ ბლომად ფულია,
იქ მოიყვანენ იშხანსა,
ის ფული დაკარგულია.

გარმონი ჩვენზედ კარგი აქვს
და უკრავს უკეთესადა,
ზარივით რეკავს ტკბილი ხმა.
ჩვენ გვეჩვენება კვნესადა.

ხალხს უყვარს კარგზედა კარგი,
ეს არის მუდამ წესადა,
იშხანი ჩვენზედ კარგია,
ის მზეა ქვეყანაზედა.

ის ჩვენ გვჩრდილავს და ამიტომ
ველარ ვანათებთ ცაზედა.
ანუ დავკარგოთ გარმონი,
წავიდეთ სულ სხვა გზაზედა.
ან მოვკლათ ბიჭი იშხანი,
ჩავაქროთ ქვეყანაზედა.

ესე დაასკვნეს, ამგვარად,
დღეს ფულის მუსიკოსებმა,
გადაწყდა, მოკლან იშხანი
მეგობარ-მეგარმონებმა.

სწორედ ამ მიზნით სუფრაზე
მოაქვთ საჭმელი. სასმელი,
იქავ დოლი და გარმონი
მუსიკა ყურთა სასმენი.

ვინცა იქა სვამს მას უნდა
ესმოდეს იშხანის მღერა,
ყურისთვის საამურია,
ტკბილია მისი სიმღერა.

საღამო არის ოიბილისში,
ჩანს სალხი მსიარულია,
სუყველა სადღაც ისწრაფვის,
აქვთ ჩქარი სიარულია.

1941 წ.



განმარტება
რომანი „მელიქ-იანი"

ჭაბუკ მელიქისა და გოგონა იას შესახებ დაწყია ქ. ხარკოვში 16. 09. 1941 წლის 12 საათზე.

აქვე აღნიშნულია მისი ფსევდონიმი „ბადე" — რაც ალბათ გვარ-სახელის თავისებური იმიტირებაა.

აქვე რუსულადაა მიწერილი — „გოროდ ხარკოვ, ბალნიცა, ბოლნოი ბაჯიაშვილი"

1941 წ. 1-12

ნაწყვეტი წერილიდან...

„ნაწყვეტი რომანიდან „მელიქ-იანი"

ფრონტზე მიმავალ მელიქს აგონდება თავისი ბავშვობიდანვე შეყვარებული ია, ია. — რომელიც დედის-ძმასათან დატოვა მელიქმა. იამ ველარ გასძლო უმელიქოდ. ჩავარდა ფიქრებში და ბოლ-მისგან გახდა ავად. ამის შემდეგ ია გარდა-იცვალა და გამოესალმა ნათელ ქვეყანას.

იას სიკვდილი შეატყობინეს მის შეყვარებულს მელიქს, რომელიც ფრონტზედ მიჰყავდათ ანთე-ბული გულით, რომელსაც აგონდებოდა და თვალწინ ედგა შეყვარებული გოგო ია.

ამის გამო მელიქი აღარ ერიდება ტყვიას და სიკვდილს.

მელიქმა სთქვა:

ველარა ვნახავ საყვარელს,
მას, ნაზსა, ვარდსა-იასა,
ის დავუტოვე მტირალი,
ჩემს დედის ძმასა, ძიასა.

ლ.

ის იყო ჩემი სიცოცხლე,
ჩემი ფიქრი და დარდია,
ის ეხლა მიწაში არის,
ის ჩემი ია-ვარდია.

დ.

ეხლა რად მინდა სიცოცხლე,
ვიცი, მოვკვდები დღესა მე,
დე, მოვკვდე გამოვესალმო
ამ ქვეყნის მნათობ მზესა — მე.

ამის შემდეგ მოაგონდა ქვრივი დედა ოსანი, მოეჩვენა მტირალი და თვალცრემლიანი, დედის მოჩვენებას დაჭრილმა მელიქმა უთხრა:

იყავ კარგად და მშვიდობით,
შენ ვეღარ მნახავ დედავ –მე.
ტყვია მაქვს გულში მორტყმული,
სისხლი ჩამომდის ზედა –მე.

ახ, ტკბილო დედავ გიკვდები
სისხლიან ბრძოლის ველზედა,
ბოლოს მსურს თქვენი ალერსი,
კოცნა და ხვევნა ყელზედა.

როდემდის უნდა იყუროთ
ჩემს შავ-ბნელ გზა და კვალზედა,
ვიცი, ყოველთვის თქვენ ჩემთვის
ცრემლი მოგივათ თვალზედა.

მე – ჩემი დარდი არა მაქვს,
თქვენ მაგონდებით ძალზედა,
უჩემობითა დაიწვით
ცეცხლსა და იმის ალზედა.

თქვენ სიკვდილამდე სიცოცხლე
ჩემგან გექნებათ მწარეა,
თქვენთვისა ბნელი გახდება
ნათელი მზე და მთვარეა.

ბადე

განმარტება

1942 წლის 24 მარტით დათარიღებულ ფურცელ-გზავნილზე, რომელის ბოლოს მიწერილია ფსევდონიმი „ბადე“. თხრობა პროზაულია, მაგრამ შიგადაშიგ, ძირითად შინაარს პოეტურ სტროფებს მიადევნებს ხოლმე.

წიგნაკი, რომლის გაცრეცილ ყდაზე ძლივს მოჩანს ბეჭდური წესით ამოტვიფრული ხუთქიმიანი ვარსკლავი და რუსული შრიფტით ნაბეჭდი დასახელება – „პოლევაია კნიჟკა“, შესაძლოა, რომელიმე პოლიტრუკს ან სხვა რანგის მეთაურს ეკუთვნოდა, ან იქნებ პოლიტმომზადებისთვის იყო განკუთვნილი, რადგან მის ბოლო ფურცლებზე გაწაფული, რუსული კალიგრაფიით ნაწერი, საბჭოთა არმიის სიძლიერის მადიდებელი საგბიტაციო მოწოდებების ფრაგმენტებია შემონახული. შეკვრის წინა ფურცელზე დავითს თავისი ლექსი „გამშორდით“ მელნით გამოკვეთილად მიუწერია:

გ ა მ შ ო რ დ ი თ

გამშორდით შავო ფიქრებო,
ნუ დამიჭლექეთ გული –მე,
ხომ ხედავთ ამ ქვეყანაზე
დავკარგე სიხარული –მე.

მათ ველარ ვხედავ თვალითა
ვისიც მაქვს სიყვარული —მე,
მოშორებულ ვარ მათ სახეს,
დავდივარ დაკარგული —მე.

მომდევნო გვერდზე ფანქრით ოჯახისადმი მიწერილი ბარათია:

1941 წ. 27 დეკემბერი

ამ რვეულს ვგზავნი ურალიდან, ქალაქ ნიჟნი ტაგილიდან. ვატან კარგ ძმასა ანუ მამასა დათას აბულაშვილს. თუ ეს რვეული კიდევ ვნახე, ამის წამლებს ვნახავ აუცილებლად. ვნახავ და ცოტა დროს გავატარებთ ღვინით და პურით, კარგი ლაპარაკით. მოვიგონებთ ამ ქვეყანას ურალს და ცივ ნიჟნი ტაგილს.

წიგნაკში ასევე მოთავსებულია პროზაული ნაწარმოები „მელიქ-იანი", რომლის მოკლე შინაარსსა და გალექსილ ადგილებს, ოჯახისადმი გამოგზავნილ წერილიდან მოყვანილ ფრაგმენტით გაეცანით.

მას მოსდევს პოემა „მეგარმონე".

თავად „მელიქიანი" მრავალ საყურადღებო ეპიზოდს მოიცავს. მოქმედება ძირითად ვითარდება ავტორის მშობლიურ სოფელ მუსათში.

მაგრამ ამჟამად ამ ნაწარმოების გალექსილ შესავალსა და სხვა პოეტურ ეპიზოდებს შემოგთავაზებთ:

ნაწყვეტი რომანიდან...

ყური დამიგდეთ ბიჭებო,
მოგითხრობთ მელიქ-იანი.
ამა ამბისა მოსმენით
თქვენ არ მოგივათ ზიანი.
თუ დაღონდებით, ეს არის,
ამბავი თვალ-ცრემლიანი,
ამა ამბისა მომთხრობსა
ხამს — ქონდეს ენა-წყლიანი.
მსურს თქვენგან ვნახო კრიტიკა,
კრიტიკა — იყოს მზიანი...

ბადე

წითლდება აღმოსავლეთი, ამოდის მზე, რომლის სხივები ეფინება იაღლუჯის მთის მწვერვალსაც, სადაც დგას ჯოსზედ დაყრდნობილი და დაღონებული მეცხავერე.

...ვინ არის ეს კაცი, რომლის წინ გაშლილა ცხარი და სძოვს დილის დანამულ ცივ ბალახს. ვინც შეხედავს მეცხვარის გამომეტყველებას. ის აუცილებლად ამოიკითხავს რაიმე ტანჯვას. შემხედავიც დაღონდება და დაფიქრდება.

ის გასლავთ მელიქი, წლოვანებით თექვსმეტი წლისა, მშვენიერი ახალგაზრდა ყმაწვილი, რომელიც მოგაგონებთ მაისის ვარდს...

ამის მნახველი იკითხავს: აქ რას აკეთებს, ეს მშვენიერი ახალგაზრდა, ყმაწვილი? „ეგ ხომ სკოლის კარებს არ უნდა სცილდებოდეს?!

ამის მთქმელო და მკითხველო შენ ხომ იცი:

გარემოების შეცვლითა,
იცვლება კაცის გულია,
ხან ივლი გახარებული,
ხან ივლი დატანჯულია...

სწავლა-განათლება ეს არის კაცის ერთ-ერთი სარისხი, რომელიც მეტად ძვირფასია და მეტად საყვარელი.

მელიქსაც სურდა სწავლა-განათლება და ეს სურვილი არ დაჰკარგვია, მაგრამ სურვილი სურვილად რჩება. რადგან მელიქის მარტოსულა, ქვრივი დედა ინახავს ხუთ ბავშვს, ინახავს ტანჯვა-წვალებით...

მელიქი უკვე ცხრა წლისა იყო, როცა სოფელ კოდაში (მუხათიდან ერთი კილომეტრის დაშორებით) გაიღო პირველი დაწყებითი სკოლა, სადაც მამამისმა სერგომ ის სასწავლებლად მიაბარა.

მელიქი მეტად გონიერი ბავშვი იყო. მეტად კმაყოფილი იყო მასწავლებელიც, რომელიც პატივისცემით ეპყრობოდა თავისთვის ჯერ უცხო და უცნობ ხალხს...

სკოლაში მელიქთან ერთად დადოდა, მდიდარი, სახელგანთქმული მეზობლის გ-ს შვიდი წლის ყმაწვილი გოგო, რომელსაც ეძახდნენ ვარდს... რომელსაც შემდგომ მელიქმა ყვავილ იასადმი მისი სიყვარული გამო ია შეარქვა... იასაც თავდავიწყებით შეუყვარდა მელიქი...

ასე გაიარა ხუთმა წელმა. მელიქი უკვე თოთხმეტი წლისა იყო, ია კი თორმეტისა. ამ დროს გარდაიცვალა მელიქის მამა. ყმაწვილმა ბიჭმა სოფლის ბევრ მძიმე საქმეს მოჰკიდა ხელი და სწავლას თავი მიანება...

შემდგომ უსახსრობით შეჭირვებული მივიდა იას მამასთან და დაუდგა მებატკნედ...

...საღამოობით მელიქი შეხადავს ხოლმე თავის მოციმციმე განცალკევებულ ვარსკლავს, მას შესტრფის და ეალერსება.

ჩემო ციალა ვარსკვლავო,
შენ მოციმციმევ ცაზედა.
შენ მომაგონებ იასა,
ვფიქრობ, ვოცნებობ მასზედა.

...ამასობაში კი ია სასწავლებლად მშობლებმა თბილისს გააგზვნეს.

...მშვენიერია სოფელი მუსათი, თავისი განთქმული წყაროთი:

აქ გროვდება სოფლის ნახირი, ხბო, ცხვარი... აგერ გაჰკივის კურო... ბუღა, ღრიალებს, რომელსაც ხმას აძლევენ სხვა პირუტყვები. გზას აძლევენ, ის კი წინა ფეხებით მიწას თხრის და ფანტავს. მივა პატარა ფერდობთან, იქვე, წყაროს გვერდზე იწყებს მიწის თხრას რქებით... უცებ გამოქანდება დაერევა კამეჩემებს, ზოგს თავისი სიძლიერით... აგერ ბღავიან დედას მოშორებული ხბორები, ისმის ბატკნების ჟრიამული, ცხენების ჭიხვინი და ზოგიერთი ზარმაცი მამლის დაგვიანებული ყივილი...

ამავე დროს გროვდება ხალხი: წყაროსთან, გზის პირას, თხრილთან, ღობის გვერდზე, ხესილების ქვეშ...

მოირბინა პაწია თინიკომ, გაიხმო ძმა და ყმაწვილური ენით, მეტად ტკბილად უთხრა; „რას მიკიდი, ლო გაგასალო...“ უბიდან წერილი ამიღო და გადასცა...

მან უკვე გაიგო ეს წერილი ვისგანაც იყო, უმალვე გახსნა და დაიწყო კითხვა:

„მოემზადე ჩემო საყვარელო, ველოდები მხოლოდ შენს სიტყვას, რომ მე შენთან ერთად დავიწყო ცხოვრება...

როცა ჩამოხვიდე თბილისში, მე მომნახე, აუცილებლად შემდეგი მისამართით:

რუსთაველის პროსპექტი №5.

ია "

ამ წერილის წაკითხვის შემდეგ მელიქმა უფრო გულიანად მოჰკიდა საქმეს ხელი. ახალი სახლი, რომელიც დაწყებული ჰქონდა, თავისივე დახმარებით ოსტატებმა დააამთავრეს.

სახლის წინ ნამყენი ხეხილები, იასამნები —გაყვავებული მაისის ვარდები და კიდევ ათასგვარი სურნელოვანი მცენარეები ამშვენებდნენ სახლსაც და ბაღჩასაც...

...მაგრამ, როცა იას შეუსრულდა თექვსმეტი წელი, მდიდარი გ. დიდ სიხარულს მიეცა და თქვა, ჩემი ქალი ვარდიკო, მართლაც ვარდს დაემსგავსა. გასათხოვარი შექმნილაო და მისი დაბადების დღის აღსანიშნავად მოინდომა დიდი ქეიფი...

მომღერლებიც ბევრი იყვნენ. ვის რაც ესიამოვნებოდათ იმას მღეროდნენ...

...ყველამ ერთსმად პირველობა მელიქს მიანიჭა და სთხოვეს კიდევ ემღერა.

საჭირო იყო კარგი გონება, რომ მის გულის-წორის გარდა სხვა იქ მყოფს გადატანით ნათ-ქვამი გაეგო:

განცალკევებულ ვარსკვლავსა,
მას, მოციმცემეს ცაზედა,
ვეტრფი და სიმღერას ვეტყვი
მე ახალ-ახალ სმაზედა.

მე გაზაფხულის სურნელ ვარდს
მშვენიერს, ტურფას ძალზედა,
ვეტრფი, მას ვუმღერ დღედაღამ.
ტკბილ და საამურ ჰანგზედა.

ვერვინ მიხვდება ვის გული
რა დარდით არის მოცული,
მე სიტყვას ვამბობ მელიქი,
ამ გარემოთი მოცული.

სიცოცხლის ლამფა ჩამიქრა.
ჩავსვენდი სამარეშია,
ვერვინ მიმიხვდა გულის დარდს,
მცხოვრებელს ამ არეშია.

დე, გაზაფხული გაყვავდეს,
და იციმციმოს ცაზედა.
რომ მომავალში მელიქმა,
ვუმღერო ახალ ხმაზედა.

ვის ბავშვობიდან ვუმღერდი,
ვუმღერო სიკვდილამდისა,
ვუმღერო სიყვარულითა,
სიყვარულითა ცამდისა.

...რამდენიმე დღის შემდეგ მუსათის მეზობელ სოფლებში შეიქმნა ლაპარაკი გ-ს ქალზე. ვარდ-ზე (იაზე). ყველა აქებდა და ყველა ნატრუ-ლობდა იმისთანა ანგელოზ ქალს, როგორიც ია იყო...

სულ ყველაზე უწინ მაჭანკალი გაგზავნა სოფელ კოდის გზირის შვილმა...

-შვილო, უნდა გაგათხოვო,
უნდა მიგცე გზირის შვილსა,
-მე არა მსურს მამაჩემო,
არ გავყვები გზირის შვილსა...

...და ქალი საყვარელთან შეხვედრას მალუ-ლად ახერხებდა...

...მელიქმაც მოხვია ხელები იას და უთხრა: ჩემი სიცოცხლის ანკესი შენა ხარ, ჩემი იმედი ამქვეყნად შენა ხარ, ჩემი გული და ჩემი სი-ცოცხლე...

შენთვის ვიტანჯე აქამდის,
შენთვის დავიწვი გულითა,
შენ შეგიძლიან მაცოცხლო,
მაცოცხლო სიყვარულითა.

უშენოდ არ მსურს სიცოცხლე,
დავიხრუკები ალითა.
ჩვენ სიყვარულით ვიხარებთ,
ვიხარებთ მომავალითა.

წავიდა, იგი გაგვშორდა,
რასაც ვხედავდით თვალითა,
ვიქნებით ბედნიერები —
ჩვენ სიყვარულის ძალითა.

არ დამიღონდე ლამაზო,
შენ ტურფა, ნაზო იაო,
სიცოცხლევ! ჩემთვისა გქონდეს
წარბები, შუბლი ღიაო.

ვერ გავექცევით მომავალს,
ჩვენ ბედსა, ჩვენსა იღბალსა.
არ შევუშინდეთ ცხოვრებას,
ჩვენ არ ვემსგავსოთ იმ მხდალსა.

დრო არის ეხლა ჩავაქროთ
ჩვენ გულზე ცეცხლის ალია,
არ დამიღონდე ლამაზო,
ჩვენ გვწყალობს მომავალია.

ეხ, მომავალო ცხოვრებავ,
ვიცი იქნები ძნელია.
ლალობის მთების იმედო,
შენ მოგვიმართე ხელია.

გაგვიადვილე სიძნელე,
მოგვეცი გზა და კვალია,
დღეიდან, ჩვენს გულებს შორის
ცეცხლი და იმის ალია.

ია ეუბნება მელიქს და მთებს!

არ დაღონდება ეს გული,
ცხოვრება არცა ძნელია,
ვიხარებ ქვეყანაზედა,
გვერდით მყავს საყვარელია.

წინ წავალ ჩემო მელიქო,
წინ — წავალ სიყვარულითა,
მანამდის შენთან ვიქნები,
ვიქნები სიხარულითა.

ასე ერთიმეორეს ამსნევებდნენ, რომ თუკი შეხვდებოდნენ სიძნელეებს, ერთად ყოფნით გაიზიარებდნენ და მოწყენილობა არასოდეს არ შეეტყობოდათ.

...თქვენთვის ნათელია, რომ იას და მელიქს ბავშვობიდანვე უყვარდათ ერთმანეთი, უყვარდათ გაგიჟებით. მისი ძმობლები უყურებდნენ კაცის სიმდიდრეს და არა სიყვარულს...

ია დასნეულდა ბოღმისგან და ლოგინად ჩავარდა.

მელიქი კი ჯარში წაიყვანეს. მალე ომიც დაიწყო.

სატრფოსთან განშორების დარდით დაუძლურებულ იას კი გულზედ უდევს მელიქის სურათი და არ იშორებს. აგერ, სურათი მიიტანა ტუჩებთან დაუწყო კოცნა, შემდეგ ისევ გულზედ დაიკრა, რამდენიმე წუთიც და გამოესალმა ქვეყანას...

მთელი სოფელი ძალზე დაამწუხრა ამ ამბავმა ...სიმწრისგან და სინანულისგან ტიროდა არემარე, ტიროდნენ ფრინველებიც...

მელიქმა ეს ამბავი წერილების საშუალებით გაიგო და აღარ ერიდებოდა ტყვიას.

მან თქვა:

ველარა ვნახავ საყვარელს,
მას, ნაზსა, ვარდსა, იასა,
ის დავუტოვე მტირალი,
ჩემს დედის ძმასა ძიასა.

ის იყო ჩემი სიცოცხლე,
ჩემი ფიქრი და დარდია,
ის ესლა მიწაში არის,
ის ჩემი ია ვარდია.

ესლა რად მინდა სიცოცხლე,
ვიცი მოვკვდები დღესა მე.
დე, მოვკვდე გამოვესალმო,
ამ ქვეყნის მნათობ მზესა — მე.

ამ დროს მოესმა მელიქს მეთაურის ბრძანება „მოემზადეთ შეტაკებისათვის!" დაიძახეს „ურა!" და წავიდნენ სირბილით მტრისკენ. მტრებმა კი გახსნეს ავტომატური იარაღებიდან ცეცხლი. იმგვარი, რომ მთელი ათასეულიდან ვერც ერთმა ვერ მოასწრო მტრის აკოფებამდე მისვლა. ბევრი მოკვდა, ბევრი დაიჭრა, დაიჭრა მელიქიც მძიმედ. ტყვია მოხვდა მკერდში. მკერდზედ გადმოსჩქეფა სისხლმა, რომელმაც წითლად შეღება მელიქი.

ამ დროს მელიქს კიდევ მოეჩვენა თავისი საყვარელი ია და დედა. იას ვერაფერი უთხრა. ის უკვე მიწაში იყო, დედას კი მიაძახა:

იყავ კარგად და მშვიდობით,
შენ ველარ მნახავ დედავ —მე,
ტყვია მაქვს გულში მორტყმული,
სისხლი ჩამომდის ზედა —მე.

ახ, ტკბილო დედავ გიკვდები
სისხლიან ბრძოლის ველზედა,
ბოლოს მსურს თქვენი ალერსი,
კოცნა და ხვევნა ყელზედა.

როდემდის უნდა იყუროთ
ჩემს შავ-ბნელ გზა და კვალზედა,
ვიცი, ყოველთვის თქვენ ჩემთვის
ცრემლი მოგივათ თვალზედა.

მე — ჩემი დარდი არა მაქვს,
თქვენ მაგონდებით ძალზედა,
უჩემობითა დაიწვით
ცეცხლსა და იმის ალზედა.

თქვენ სიკვდილამდე სიცოცხლე
ჩემგან გექნებათ მწარეა,
თქვენთვისა ბნელი გახდება
ნათელი მზე და მთვარეა.

შემდეგ ამისა ამოიკვნესა, გამოეთხოვა იას სახებას და სისხლისგან დაცლილი გარდაიცვალა.

მელიქთან განშორებამ და მისმა სიკვდილმა მთლად შეცვალა დედამისის ოსანის გამომეტყველება.. გამოეცალა ღონე და ჩააგდო ლოგინად. ძლივს წამოდგებოდა ხოლმე. ბოლოს მეტად შეწუხებლმა დაიბარა შავსაყდართან თავისი ძმა, რომელმაც ვერ მოასწრო ცოცხალი ენახა თავისი და...

რას იზამ ჩემო მკითხველო. ეს ქვეყანა ასეა. ამ ქვეყნად ყველა ვერ ხარობს. ბევრი ტანჯვისთვის ჩნდება და იტანჯება სიკვდილამდე. ბევრი თან ხარობს, თან იტანჯება. სისარული ამ ქვეყნად მოკლეა...

მკითხველნო! მანამ დრო გაქვთ სისარულისა. ისარეთ ქვეყნად, შეასრულეთ თქვენი გულის მიზანი...

მიზანი და მისწრაფება
არ დატოვოს კაცმა გულზე,
თორემ იგი მწარე არის,
მწარე არის ყველა წყლულზე.

დრო არის დავამთავროთ, იყავით მშვიდობით...

ბადე

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible] 10.10.416

შინაარსი

ზეციური გადმოქრილებით... (წინასიტყვაობა) 3
„მე, ჩემი და, ჩემი ძმები...“ (მოგონება) 6
მიყვარს კაცი მეცნიერი 12
მოკეთე და ნათესავი 14
ჩემი კარის მეზობელი 16
მძულს, არ მიყვარს... 18
არ იქნება ქვეყანაზე 22
შავი ფიქრი 23
მშობელო დედავ! 25
მიყვარს ჩემი მშობლის შვილნი 26
მეგობრების სიყვარული 28
ეს ქვეყანა მისთვის მიყვარს 31
დედა-შვილი 33
მინდა ვუმზირო შენს სშრათს 35
გულის ძგერით 38
შენი ეშხით 38
გარემოების შეცვლითა 40
ნაწყვეტი წერილიდან... 41
„15 წელი“ 42
ნეტა რას ელის 62
ოცი წლისა ახალგაზრდა მეგონა მოხუცებული... ... 66
ნაწყვეტი წერილიდან... 68
ნაწყვეტი წერილიდან... 69
ნაწყვეტები პოემიდან
„მე გეტყვით მწყემსის ამბავსა“... 70
ავადმყოფი 72
მეგარმონე 83
ნაწყვეტი წერილიდან... 91
განმარტება 94
ნაწყვეტი რომანიდან... 96
წერილი ახლობლებს 109

დავით ბაჯიაშვილი

სისხლიან ბრძოლის ველზედა...

მე თქვენთვის, თქვენ კი ჩემთვისა
მუდამ სართ მოსაგონია,
მე თქვენთან მოვალ —თქვენთვისა,
ასეა, ასე მგონია...

ლექსები
პოემები

ДАВИД БАДЖИАШВИЛИ

На окровавленном поле битвы ...
(на грузинском языке)

Я для вас, а вы для меня
В вечных воспоминаниях
Я приду – для вас,
Это так, я верю, так ...

Стихи
Поэмы

BAJIASHVILI DAVID

"On the bloody valley..."
(in Georgian Language)

I for you, and you for me,
You are always in my memory,
I'll come with you, for you
It's so, I think so...

მწიგნობრულ-მისიონერული
ფონდი

თბილისი

გამოსაცემად მოამზადეს
ცირა და ჯანრი გოგეშვილებმა

КНИЖНО-МИССИОНЕРСКИЙ ФОНД

ТБИЛИСИ

ДЛЯ ИЗДАНИЯ ПОДГОТОВИЛИ
ЦИРА И ДЖАНРИ ГОГЕШВИЛИ

THE MISSIONARY FUND OF BOOKS

TBILISI

FOR ESTABLISHMENT WAS PREPARED BY
TZIRA AND JANRI GOGESHVILI